ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

შაბათი
22
მაისი
1937 წ.
№ 115 (4916)

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკ-ის ორგანო

დღეს გაზეთში:

— საქართველოს კ. პ. (ბ) X ყრილობის მისალმება ამხანაგ **სტალინს**.
— საქართველოს კ. პ. (ბ) X ყრილობამ დაამთავრა მუშაობა.
— საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობაზე. ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენება 1937 წ. 15 მაისს (გაგრძელება).

საინფორმაციო ცნობა

1937 წლის 21 მაისს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) X მოწვევის ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა დახურული (ფარული) კენჭისყრით საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებად აირჩია ამხანაგები: ა. აგრბა, გ. არუთინოვი, ლ. ბერია, ვ. ბაქრაძე, ა. გეურქოვი, ს. გოგლიძე, ვ. დეკანოზოვი, ა. კეკელია, გ. მგალობლიშვილი, ფ. მახარაძე გ. სტურუა; ბიუროს წევრობის კანდიდატებად — ამხანაგები მ. გობეჩია, ვ. გოგეშვილი, ე. ბედია. ა. მგელაძე.

პლენუმმა ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ლ. პ. ბერია, მეორე მდივნად ამხ. ვ. მ. ბაქრაძე, მესამე მდივნად ამხ. ა. მ. კეკელია.

რელიგია ოპიუმია ხალხისათვის

რელიგია მშრომელთა სულიერი დამონებისა და დაბეჩავების ერთ-ერთი უსაზიზღრესი სახეა. ექსპლოატატორული კლასების ხელში იგი მთელი მშრომელი ხალხის გონების დახშობის იარაღს წარმოადგენს. რელიგიის სამოსელში გახვეული მჩაგვრელი კლასები მცირე ერების დასამონებლად და მათგან ნადავლის მოსახვეჭად სისხლისმღვრელ ომებს აწარმოებდნენ.

სტალინური კონსტიტუცია აღიარებს რელიგიის თავისუფლებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს მის წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელის აღებას ან შენელებას. „ჩვენი პარტია,—ამბობდა ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1913 წელს—მხარს უჭერს სარწმუნეობის თავისუფლებას, მაგრამ ხელს არ იღებს რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაზე".

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებამ, ექსპლოატატორული კლასების მოსპობამ, მასების კულტურულად ზრდამ ძალიან შეამცირა ცრუმორწმუნეობა, მუშებსა და კოლმეურნეებში ატეიზმი გაზარდა. ამ მიღწევებმა ჩვენს პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში შექმნა ერთგვარი გულდამშვიდება. რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა მათ განვლილ ეტაპად გამოაცხადეს, დაავიწყდათ, რომ ცრუმორწმუნეობა ხალხში ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ აღმოფხვრილი, რომ ექსპლოატატორული კლასების ნამსხვრევებს ხელი არ აუღიათ მუშათა კლასის დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ისინი ყვლავ იყენებენ რელიგიას, როგორც მარჯვე იარაღს მუშებისა და კოლმეურნე გლეხობის წინააღმდეგ, სოციალიზმის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელ დროს საჩხერეში (ჭიათურის რაიონი) ხუცებმა და განადგურებული ექსპლოატატორული კლასების ნაძირალებმა სცადეს არევ-დარევა შეეტანათ, უნდობლობა დაეთესათ მოძმე ქართველებსა და იქ მცხოვრებ ებრაელებს შორის, ეს ფაქტი ნათლად ადასტურებს, თუ როგორ მიმართავს კლასობრივი მტერი ძველ ხერხებს. ჩვენს დროს რელიგია ბრძოლის სხვა უფრო ფარულ ფორმებსაც მიმართავს. იგი რელიგიური დღესასწაულების მოწყობით იბრძვის ჩვენი საწარმოო გეგმების ჩასაშლელად.

რელიგიური კულტის ერთგვარ გამოცოცხლებას აქვს ადგილი ალბულაღის რაიონში. აქ მღვდელმა ვოშაძემ შესძლო ზოგიერთი ჩამორჩენილი გლეხობის ჩათრევა. მან ისიც კი მოახერხა, რომ რელიგიური წესების შესრულების ნიღაბ ქვეშ ჩაშალა კოლმეურნეთა საზეიმო კრება, სადაც კოლმეურნენი იხილავდნენ მიწის ჩაბარების აქტს.

რელიგიური კულტის გამოცოცხლებას ადგილი აქვს აგრეთვე გორის, ბორჯომის, ხაშურისა და გურჯაანის რაიონებში. ხშირია რელიგიური წესის შესრულების შედეგად კოლმეურნეობებში სამუშაო დღეების გაცდენა. ხუცები თავიანთ მუშაობას განსაკუთრებით მაშინ აძლიერებენ, როცა სოფლის მეურნეობაში მოსავლის საკითხს დღეები და საათები სწყვეტს. გორის რაიონის მთელ რიგ სოფლებში ხუცებმა შესძლეს „სულთაობის" დღეებში დიდძალი ხალხი მოეცდინათ. მათ დიდი ზიანი მიაყენეს მოსავლის აღებისა და საშემოდგომო თესვის გეგმების შესრულებას. ხუცების მეთაურობით იმართებოდა ხოლმე დაუსრულებელი ლოთობა, ჩხუბი და ცემატყება, რისდროსაც მკვლელობაც ხშირი იყო.

ხუცებმა რელიგიური მუშაობის გამოცოცხლება სცადეს გურჯაანის რაიონშიაც. გახურებული თესვის დროს იქ დღეობები იმართებოდა. ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოები არათუ არ ატარებდნენ ანტირელიგიურ კამპანიას. არამედ ამ დღეებში ერთეული კომუნისტები და კომკავშირელებიც იღებდნენ მონაწილეობას.

რელიგიური კულტის ასეთი გამოცოცხლება გამოწვეულია იმით, რომ ჩვენმა პარტიულმა, საბჭოთა და პროფესიულმა—ორგანოებმა ამ უკანასკნელ დროს ანტირელიგიურ პროპაგანდას ხელი შეუშვეს. ისინი, როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ რელიგია—ეს ყველაზე უფრო რეაქციული ნაშთი ადამიანის შეგნებაში—თავისთავად გაქრება. ზოგიერთმა ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანომ, როგორც ჩანს, არასწორად გაიგო სტალინური კონსტიტუციის ის მუხლი, სადაც სწერია: „რელიგიური კულტების შესრულების თავისუფლება და ანტირელიგიური პროპაგანდის თავისუფლება აღიარებულია ყველა მოქალაქისათვის". ხუცები კარგად იყენებენ თავიანთ სასარგებლოდ ამ მუხლს რელიგიური კულტის შესრულებისათვის, ჩვენმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა კი მივიწყებას მისცეს ამ დებულების მეორე ნახევარი—ანტირელიგიური პროპაგანდა, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ბევრგან ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, ნაცვლად მოფიქრებული ანტირელიგიური პროპაგანდისა, ხშირად მიმართავენ შიშველ ადმინისტრირებას, რითაც გალიზიანებას იწვევენ და ხელს უწყობენ რელიგიური განწყობილების გაღვივებას. მათ ავიწყდებათ, რომ რელიგიური ფანატიზმისაგან ადამიანის განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ სისტემატური, დაუღალავი, მოფიქრებული ანტირელიგიური პროპაგანდით.

ანტირელიგიური მუშაობა მთლიანად მიივიწყეს პროფესიულმა კავშირებმა. ცუდად მუშაობენ კომკავშირული ორგანიზაციებიც, ისინი სათანადოდ ვერ ანხორციელებენ კომკავშირის მეათე ყრილობის დადგენილებას მშრომელ ახალგაზრდობაში ანტირელიგიური პროპაგანდის შესახებ.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობს უღმერთოთა კავშირი. მისი უხეირო მუშაობის შედეგად ადგილებზე ანტირელიგიური მუშაობა ჩაიშალა. ზოგიერთ რაიონში უღმერთოთა კავშირები დაიშალნენ. ისინი კი რომელნიც დარჩნენ, მხოლოდ ფორმალურად არსებობენ. შესწყდა და ჯერ კიდევ მოუგვარებელია ანტირელიგიური ჟურნალის გამოცემა, თუმცა მისი გამოცემის შესახებ სათანადო ორგანოების დადგენილება არსებობს.

ცუდად არის დაყენებული ანტირელიგიური პროპაგანდა სკოლებში. ამ მხრივ ცუდად მუშაობენ, როგორც განათლების სახ. კომისარიატი, ისე განათლების განყოფილებანი. რაიონული გაზეთები არაფერს სწერენ ანტირელიგიური პროპაგანდის შესახებ.

ზოგიერთი სავაჭრო და კოოპერატიული ორგანოები ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუწყონ ანტირელიგიური პროპაგანდის გაშლას, „კულტურული" საბჭოთა ვაჭრობის ნიშნით ბაზრობას აწყობენ რელიგიურ დღეობებზე, რითაც ობიექტიურად ხელს უწყობენ რელიგიის გამოცოცხლებას.

სოფლად ანტირელიგიური მუშაობის გაშლისათვის უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლიათ მასწავლებლობას, აგრონომებს, ექიმებს. ამ ძალებს ჩვენი რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოები უსუსტად იყენებენ. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ანტირელიგიური მუშაობა სკოლებში, უნდა გავშალოთ ანტირელიგიური ლექციების ქსელი, გამოვცეთ ახალი და გამოვიყენოთ არსებული ანტირელიგიური ლიტერატურა. ანტირელიგიური პროპაგანდისა და აგიტაციის მებრძოლად უნდა გადავაქციოთ მთელი ჩვენი პერიოდული, როგორც ცენტრალური, ისე რაიონული და ძირეული პრესა.

ამხ. ლიტვინოვის საუბარი ბლიუმთან

პარიჟი, 20 მაისი (საქდესი). გუშინ საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა ბლიუმმა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის შენობაში ინახულა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ლიტვინოვი და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან.

◇ ◇ ◇

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შეურყევლობა

ლონდონი, 19 მაისი (საქდესი). „მანჩესტერ გარდიანი" ხაზს უსვამს რა ამხ. ლიტვინოვისა და დელბოსის საუბრების დიდ მნიშვნელობას, აღნიშნავს, რომ მოლაპარაკებამ დაადასტურა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შეურყევლობა.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს— ამხანაგ სტალინს

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) X ყრილობა, რომელმაც დაამთავრა თავისი მუშაობა, ჩატარდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკისა და იმ ამოცანების განხორციელების ნიშნით, რომლებიც დასახულია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებსა და თქვენს ისტორიულ მოხსენებაში „პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებსა და ტროცკისტ და სხვათა თვალთმაქცთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე".

სტალინურმა კონსტიტუციამ უდიდეს სიმაღლეზე აიყვანა მშრომელთა პოლიტიკური აქტივობა. დასახა რა თვითეული პარტიული ორგანიზაციის წინაშე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ბოლშევიკურად გარდაქმნის ამოცანები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) X ყრილობამ შეაჯამა პარტიული მუშაობის დაწყებული გარდაქმნის პირველი შედეგები.

საქართველოს ბოლშევიკები ამ მუშაობას შეუპოვრად და მტკიცედ განაგრძობენ, გაშლიან შინაპარტიულ დემოკრატიას, ბოლშევიკურ თვითკრიტიკას, კიდევ უფრო აამაღლებენ რევოლუციურ სიფხიზლეს, სთვლიან რა ჩატარებულ მუშაობას საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და თქვენი მითითებების რეალიზაციისათვის ბოლშევიკური ბრძოლის მხოლოდ დასაწყისად.

პარტიული ორგანოების არჩევნები დახურული (ფარული) კენჭისყრის გზით წარმოადგენდა პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო უნარის ნამდვილ შემოწმებას.

ფარული არჩევნებიდან საქართველოს პარტიული ორგანიზაციები გამოვიდნენ კიდევ უფრო შემჭიდროვებულნი საქ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ, პარტიის ბელადის, დიდი, მშობლიური **სტალინის** ირგვლივ.

ფარული კენჭისყრის შედეგად, წამოიწიენ პარტიული აქტივის ახალი კადრები, რომელთაც საქმით დაამტკიცეს თავისი ერთგულება **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი.

მხილებული არიან ხალხის მიმალული და ნიღაბაფარებული მტრები — საზიზღარი კონტრრევოლუციონერი ტროცკისტები, თვალთმაქცები, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტები, სამშობლოს მოღალატენი, ფაშიზმის აგენტები.

ახსოვთ რა თავისი მუშაობის ყოველ ნაბიჯზე თქვენი მითითებანი რევოლუციური სიფხიზლის ყოველნაირად ამაღლების აუცილებლობის შესახებ, საქართველოს ბოლშევიკები ბოლომდე გაანადგურებენ, ძირფესვიანად აღმოფხვრიან საძაგელ უწმინდურობას — კონტრრევოლუციური ტროცკიზმის იაპონელ-გერმანელ აგენტებს, მემარჯვენე მავნებლებს, ჯაშუშებს, დივერსანტებს, მკვლელებს, მოსპობენ თავის რიგებში უზრუნველობის, უდარდელობის, პოლიტიკური სიბეცის გამოხატულებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ხალხის მტრებს მათს ჯაშუშურ-ტერორისტულ მუშაობაში.

საქართველოს კომპარტია, — რომელიც პოლიტიკურად ზრდის კადრებს, მტკიცედ იბრძვის ბოლშევიზმის დასაუფლებლად, ანმტკიცებს ხელმძღვანელთა კავშირს მასებთან, ერთი წუთითაც არ ივიწყებს, რომ თვითკრიტიკა **ლენინ-სტალინის** პარტიის ისტორიის მთელ მანძილზე იყო ჩვენი პარტიისა და მისი საბრძოლო უნარის განმტკიცების, უცხო და დამპალი ელემენტებისაგან პარტიის გაწმენდის საიმედო და ბასრი იარაღი, — ყველაფერს გააკეთებს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებების, თქვენი ისტორიული მითითებების ბოლშევიკური განხორციელებისათვის.

საქართველოს ბოლშევიკები — საქ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის რკინისებური და ურყევი დასაყრდენი — მტკიცედ გასწევენ წინ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

მდგომარეობა ესპანეთში

ესპანეთის ფრონტებზე

(საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობების მიხედვით)

ბისკაის ფრონტი

ესპანეთის სამხედრო სამინისტროს ცნობის თანახმად, რომელიც 19 მაისს საღამოს რადიოთი გადაცეს, ბისკაის სექტორში გრძელდება გააფთრებული ბრძოლები. მეამბოხეებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

ჰავასის სააგენტოს ცნობით, მეამბოხეთა ავიაცია მთელი 19 მაისის განმავლობაში ყუმბარებს უშენდა სოფლებს რესპუბლიკელთა ჯარების ზურგში. სამხედრო სამინისტროს ცნობაში უარყოფილია მეამბოხეთა მიერ გავრცელებული ცნობები მათ მიერ ხატას სიმაღლის დაკავების შესახებ. მეამბოხეებმა თვალსაჩინო იერიში მიიტანეს მხოლოდ ამორებიეტის სექტორში, განსაკუთრებით საავიაციო ბაზის რაიონში, სადაც რესპუბლიკელთა ჯარებმა შეაჩერეს მტრის წინ სვლა.

სანტანდერის ფრონტი

ბურგოსის სექტორში რესპუბლიკელთა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა მტრის პოზიციებს მორატინოში და დიდი ზარალი მიაყენა მას. მეამბოხეებს წაუხდინეს ერთი ზარბაზანი და დაუნგრიეს რამდენიმე ტრანშეა.

ალავის სექტორში რესპუბლიკელთა ჯარებმა დაანგრიეს მეამბოხეთა სიმაგრენი სებიგანის რაიონში.

ასტურიის ფრონტი

ესპანეთის სამხედრო სამინსტროს 19 მაისის ნაკრები ცნობის თანახმად, მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს სიერა რებოლიედის სექტორში, რათა დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები. მეამბოხეთა იერიში მოიგერიეს. რესპუბლიკელთა ჯარებმა მთლიანად დაიკავეს პიკო დელ ახილია.

ლეონის სექტორში რესპუბლიკელთა ჯარებმა დაიკავეს ავილიის მაღლობი, ლილიოს მახლობლად. ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო მასალა.

არაგონიის ფრონტი

ზოგიერთ უბანზე აღნიშნულია თოფისა და არტილერიის სუსტი სროლა. რესპუბლიკელთა ჯარებმა შეინარჩუნეს პოზიციები, რომლებიც მათ ამ ცოტა ხნის წინათ წაართვეს მეამბოხეებს კარასკალის რაიონში, მდინარე ებროსთან. ამ რაიონში რესპუბლიკელებმა მიიტანეს მთელი რიგი გალაშქრება მეამბოხეთა ტერიტორიაზე. ხელთ იგდეს ტყვეები.

ცენტრალური ფრონტი

ესპანეთის სამხედრო სამინსტროს 19 მაისის ნაკრებ ცნობაში აღნიშნულია, რომ საუნივერსიტეტო უბნის სექტორში რესპუბლიკელთა ჯარებმა დინამიტით ააფეთქეს სანტა კრისტინის თავშესაფარის მომიჯნავე შენობათა ჯგუფი. მტერი იძულებული იყო დაეტოვებინა ეს პოზიცია. მეამბოხეებმა უშედეგოდ სცადეს მიეტანათ იერიში რესპუბლიკელთა ჯარების პოზიციებზე მდინარე ხარამისა და ლა მარანიოსის რაიონში.

გვადალახარის რაიონში არტილერიის, თოფებისა და ტყვიამფრქვევების სროლაა.

მდინარე ტახოს რაიონში გრძელდება რესპუბლიკელთა ჯარების შეტევა ყველა უბანზე.

გამარჯვების მთავრობა

ვალენსია, 19 მაისი (საქდესი). „მუნდო ობრერო" სთვლის, რომ ესპანეთის რესპუბლიკის ახალი მთავრობა, რომელშიაც არ შედიან მხოლოდ შრომის ანარქო-სინდიკალისტური ნაციონალური კონფედერაციის წარმომადგენლები, წარმოადგენს სახალხო ფრონტის სრულ და საუკეთესო გამოხატულებას, რამდენადაც მუშათა საყოველთაო კავშირი, რომელიც მთავრობაში ფორმალურად არ შედის, ფაქტიურად წარმოდგენილია მასში სოციალისტებითა და კომუნისტებით.

ახალი მთავრობის პროგრამა, — სწერს „მუნდო ობრერო",—ეს მთელი ხალხის ნებისყოფის გამოხატულებაა. მხოლოდ უპასუხისმგებლო ელემენტები ჰბედავენ ილაპარაკონ, თითქოს ამ მთავრობის შედგენა იყოს ნაბიჯი უკან. სახალხო ფრონტის ყველა პარტია, ისე როგორც ფრონტის მებრძოლები, ენტუზიაზმით მიესალმებიან ახალ მთავრობას და არავის მისცემენ ნებას სახელი გაუტეხონ გამარჯვების მთავრობას საეჭვო ლოზუნგებით და მით უფრო არავის მისცემენ ნებას ფაშისტური ლახვარი ჩასცენ რევოლუციას ზურგში.

„მუნდო ობრერო" ჰბეჭდავს კომპარტიის მადრიდის საოლქო კომიტეტის დეკლარაციას, რომელიც მოუწოდებს ყველა ანტიფაშისტს მტკიცედ დაუჭირონ მხარი ახალ მთავრობას. მადრიდელი კომუნისტები, — სწერს გაზეთი,—მხურვალედ მიესალმებიან ნეგრინის მთავრობას. სარედაქციო სტატიაში „მუნდო ობრერო" მოითხოვს, რათა ახალმა მთავრობამ დაშალოს ტროცკისტული პოუმი და დააპატიმროს მისი წინამძღოლები.

ეხება რა ახალი საგარეო საქმეთა მინისტრის დანიშვნას, „მუნდო ობრერო" სთვლის, რომ ახალი მინისტრის საუკეთესო საგარეო პოლიტიკა იქნება ალვარეს დელ ვაიოს პოლიტიკის განგრძობა. გაზეთი ალვარეს დელ ვაიოს უაღრესად გულთბილისი სიტყვებით უცხადებს თავის მადლობას.

◇ ◇ ◇

გენერალ გიუნლაინის ჩასვლა რომში

რომი, 20 მაისი (საქდესი). მუსოლინიმ მიიღო გერმანიის ფაშისტური პარტიის მოტორიზებული კორპუსის უფროსი, გენერალი გიუნლაინი, რომელიც ჩამოსულია რომში. გიუნლაინმა დაათვალიერა ქალაქის მოტორიზებული პოლიციის ნაწილები. მის პატივსაცემად გამართეს მთელი რიგი დარბაზობანი. ოფიციალურად გიუნლაინის ჩამოსვლას ხსნიან იმით, რომ მას სურს ავტომობილების შეჯიბრებას დაესწროს.

ესპანეთის სამხედრო კომისარიატი

ვალენსია, 19 მაისი (საქდესი). „ფრენტე როხო" პირველ გვერდზე ჰბეჭდავს ვრცელ სტატიას, რომელიც ეხება სამხედრო კომისარიატის მიღწევებსა და შემდგომ ამოცანებს. 19 მაისს გენერალური სამხედრო კომისრის ალვარეს დელ ვაიოს თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი, რომელზედაც მიიღეს გადაწყვეტილება — გაშალონ კომისარიატის მუშაობა იმ მიმართულებით, როგორც იგი ტარდებოდა ლარგო კაბალიეროს დეკრეტამდე პოლიტიკური კომისრების აპარატის რეორგანიზაციის შესახებ. სხდომაზე გამოსთქვეს სურვილი—შეიქმნას ცენტრალური სამხედრო კომისარიატი, რომლის კომპეტენციაში შევა ყველა სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალები.

კომპარტიის ორგანო „ფრენტე როხო" ამასთან დაკავშირებით უაღრესად გულთბილი სიტყვებით მადლობას უცხადებს ალვარეს დელ ვაიოს მისი ბრწყინვალე მიღწევებისათვის გენერალური სამხედრო კომისრის პოსტზე.

მეამბოხენი ემზადებიან საგაზო ომისათვის

ლონდონი, 19 მაისი (საქდესი). „ნიუს ქრონიკლის" ბილბაოელი კორესპონდენტი გამოსთქვამს თავის რწმენას, რომ მეამბოხეებს განზრახვა აქვთ გამოიყენონ ბისკაის ფრონტზე მომწამლავი ნივთიერებანი. მეამბოხეთა ჯარების ორ მესამედს ამ ფრონტზე შეადგინენ უცხოელები, უმთავრესად იტალიელები; მაგრამ ჯარებს შორის არიან გერმანელებიც. ეს პირველი შემთხვევაა, რომ ბოლო დღეებში რესპუბლიკელები ატყვევებდნენ მეამბოხეთა აირწინაღებიან ჯარისკაცებს. იპოვეს აგრეთვე გვამები აირწინაღებით. რესპუბლიკელთა მხარეზე გადმოსულნი და ტყვეები ადასტურებენ, რომ მეამბოხეთა ჯარებში არის ქიმიური ნაწილი, რომელიც მთლად უცხოელებისაგან შესდგება. ფიქრობენ, რომ მეამბოხეებს განზრახვა აქვთ გამოიყენონ მომწამლავი ნივთიერებანი, რათა ბილბაოს რაიონის ყველაზე მნიშვნელოვან პუნქტებში გაარღვიონ სიმაგრეთა ფოლადისებური რკალი.

„ტაიმსის" ბილბაოელი კორესპონდენტის სიტყვით, რესპუბლიკელთა ჯარებს ამჟამად უკავიათ ხაზი, რომელიც სჭრის გალდაკანოდან ამორებიეტისა და ლემონისაკენ მიმავალ ორ გზას.

ბასკთა მთავრობის დელეგაციამ ბაიონში (საფრანგეთი) გამოაქვეყნა სია 30 გერმანელი მფრინავისა, რომელნიც მონაწილეობენ მეამბოხეთა მხარეზე ბისკაის ფრონტის ოპერაციებში. ეს სია შედგენილია იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც უპოვეს დატყვევებულ გერმანელ მფრინავებს.

◇

ალბანეთში გრძელდება აჯანყება

ვენა, 20 მაისი (საქდესი). ბელგრადიდან იუწყებიან, რომ ბელგრადის ზოგიერთი გაზეთის ინფორმაციის თანახმად, ალბანეთის ნაციონალისტებმა, რომლებმაც მთავრობის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყეს, დაიხიეს მთებში ვალონის ნავსადგურის მახლობლად და იქ სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის ჯარებს.

საქართველოს კ. პ. (ბ) X ყრილობამ დაამთავრა მუშაობა

ყრილობის დახურულ სხდომაზე 20 მაისს მოხდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრთა, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატთა და სარევიზიო კომისიის წევრთა შემადგენლობის კანდიდატურების ფარული კენჭისყრა.

21 მაისს დილით ყრილობის საბოლოო სხდომაზე განხილულ იქნა პროექტი რეზოლუციისა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, რომელიც შეიმუშავა ყრილობის მიერ არჩეულმა კომისიამ და რომელიც წაიკითხა ამხ. კეკელიამ. რეზოლუცია დელეგატთა მიერ შეტანილი მთელი რიგი შესწორებებით ერთხმად იქნა მიღებული.

შემდეგ დამთვლელ კომისიის თავმჯდომარე ამხ. ვ. გოგეშვილმა ყრილობას მოახსენა ფარული კენჭისყრის შედეგები. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობაში არჩეულია 75 კაცი, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებად — 25 კაცი, სარევიზიო კომისიის წევრებად—7 კაცი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად პირველი არჩეულია ამხანაგი **სტალინი**. ამ ცნობას დელეგატები მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით ხვდებიან, მიესალმებიან რა პარტიისა და ხალხის დიდ ბელადს — ამხანაგ **სტალინს**.

ახალი ძალით იფეთქა ოვაციამ, როდესაც ყრილობამ მიიღო დეპეშა ამხანაგ **სტალინის** სახელზე, ხანგრძლივი ტაშით, „ურას", „ვაშას" ძახილით, მისასალმებელი შეძახილებით დელეგატები გამოსთქვამენ თავის უსაზღვრო ერთგულებას და სიყვარულს საქ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტისადმი, დიდი **სტალინისადმი**.

შემდეგ ამხანაგი **ლავრენტი ბერია** საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) X ყრილობას დახურულად აცხადებს. (საქდესი).

შემადგენლობა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც აირჩია საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობამ

ი. ბ. სტალინი
ა. ს. აგრბა
პ. ბ. აზარაშვილი
გ. ა. არუთინოვი
ბ. ნ. არუთინოვი
ვ. მ. ბაქრაძე
მ. პ. ბაუმფელდი
გ. ბ. ბელელაძე
ე. ა. ბედია
ლ. პ. ბერია
ვ. გ. ბერიძე
ფ. მ. ბუაჩიძე
ქ. დ. ბუჯიაშვილი
ი. პ. ვაცეკი
გ. ი. გიორგობიანი
ა. გ. გეურქოვი
მ. ა. გობეჩია
ვ. ს. გოგეშვილი
ს. ა. გოგლიძე
მ. ე. გორიაჩევი
ე. პ. გორდელაძე
ვ. გ. გრიგორიანი
ი. გ. დავიდხანოვი
ვ. გ. დარახველიძე
გ. ს. ჯავახიძე
ლ. ფ. ჯანჯღავა
ი. პ. ჯიჯოევი
ვ. გ. დეკანოზოვი
გ. დ. დოლიძე
გ. ი. ელისაბედაშვილი
ზაიდ ზეინალოვი
ს. ი. იშხანოვი
გ. ი. კილმახელიძე
გ. ტ. კარანაძე
ს. დ. კარსანიძე
მ. მ. კვარაცხელია
ა. მ. კეკელია
მ. დ. კილაძე
თ. ა. კორსაველი
ი. დ. კოჩლამაზაშვილი
მ. ქ. ლევანდოვსკი
ზ. დ. ლორთქიფანიძე
ს. ა. მამულოვი
ა. ზ. მარგარიანი
ფ. ე. მახარაძე
გ. ა. მგალობლიშვილი
ა. ი. მგელაძე
ვ. ნ. მერკულოვი
ვ. ე. მეტონიძე
ს. რ. მილშტეინი
ვ. ვ. მირცხულავა
გაზანფარ მუსაბეკოვი
ვ. გ. პავერმანი
დ. პ. ფანცულაია
ნ. ე. ფანცხავა
ნ. ე. პატარაია
ა. ე. რამიშვილი
ა. ნ. რიფავა
ა. ნ. საჯაია
ვ. ე. სალიძე
მ. ა. სტეპანოვი
გ. ფ. სტურუა
ა. ბ. ტაუტიევი
გ. გ. თვალჭრელიძე
ი. პ. ხალიაპინი
ს. გ. ხოშტარია
ა. ს. ცეხაძე
ა. ტ. წიფურია
ა. დ. წითლიძე
ვ. გ. ცხოვრებაშვილი
ს. ა. ჩაკვეტაძე
გ. ნ. ჭელიძე
დ. ა. ჭიჭინაძე
ქ. ი. ჭკუასელი
ა. ა. შარია

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები:

ბ. ლ. ბაგთუროვი
მ. ი. ბარამია
პ. ნ. ბარბაქაძე
ქ. ი. ბარიგიანი
ს. ხ. გოგუაძე
გ. ა. გოჩაშვილი
ხ. ქ. ჯინჭარაძე
მ. ლ. ქვარცხავა
ბ. ზ. ქობულოვი
ი. ი. ლეკიშვილი
ა. ე. ლენკო
ე. ნ. მაზანაშვილი
ნ. ა. მაისურაძე
ა. პ. მახათაძე
გ. ი. ნიხანაშვილი
ვ. ი. პრიხოდკო
ა. ვ. პერვუშინი
ა. მ. ჩატიხანი
თ. გ. როსტომაშვილი
გ. გ. სულუხია
ა. ს. თათარიშვილი
გ. ი. შელია
ი. ა. შიროკოვი
ზ. ე. შიშნიაშვილი
მ. დ. ჩუბინიძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრები:

გ. კ. ახალაძე
ი. პ. ბირიუკოვი
გ. ნ. ჯინჯოლია
გ. ქ. კირიაკოვი
ლ. პ. სალუქვაძე
ა. ო. ფილიმონოვი
ნ. ი. ჩარკვიანი

იაპონიის სამხედრო მინისტრი სსრ კავშირის თავდაცვითი ძლიერების შესახებ

ტოკიო, 19 მაისი (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ 19 მაისს გუბერნატორთა კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ სამხედრო მინისტრი სუგიამა, საზღვაო მინისტრი იონაი, სამხედრო სამინისტროს საზღვაო განყოფილების უფროსი უსიროკუ და საზღვაო სამინისტროს მოხელე ტოიოროდა. როგორც სააგენტო გადმოგვცემს, სუგიამამ თავის სიტყვაში დიდი ყურადღება დაუთმო სსრ კავშირს, აგრეთვე აღნიშნა, რომ იაპონიის საერთაშორისო მდგომარეობა უფრო რთული და დაძაბული გახდა. თავისი განცხადება იაპონიის საერთაშორისო მდგომარეობის გაუარესების შესახებ სუგიამამ, სააგენტოს სიტყვით, დაასურათა სსრ კავშირისა და ჩინეთის მდგომარეობაზე მითითებებით. როდესაც საბჭოთა კავშირის შესახებ ლაპარაკობდა, სუგიამამ განაცხადა, რომ „საბჭოთა რეჟიმი მტკიცეა ისე, როგორც არასოდეს". „წარმატებით ასრულებდა რა მეორე ხუთწლედს, —სთქვა სუგიამამ,—სსრ კავშირმა მიაღწია შესანიშნავ პროგრესს სამხედრო მომზადებაში. საბჭოთა შეიარაღებული ძალები, და განსაკუთრებით საბჭოთა საჰაერო ძალები, შორეულ აღმოსავლეთში გადიდებული და გაძლიერებულია. თითქმის დამთავრდა ციმბირის მაგისტრალის აღდგენის სამუშაოები. მიღწეულია აგრეთვე წარმატებანი სსრ კავშირის სამხედრო სამრეწველო რაიონში—შორეულ აღმოსავლეთში".

◇ ◇ ◇

ბერლინი უკმაყოფილოა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებით

ბერლინი, 19 მაისი (საქდესი). გერმანიის პრესა გულდასმით ადევნებს თვალყურს დიპლომატიურ მოლაპარაკებას პარიზში. ფაშისტური გაზეთები უკმაყოფილოდ ხაზს უსვამენ, რომ „დიდი დიპლომატიური კვირა პარიზში გახსნა საბჭოთა დიპლომატიის ხელმძღვანელმა ლიტვინოვმა თავისი საუბრებით ბლიუმთან და დელბოსთან".

ბერლინის მთელი რიგი გაზეთები კომუნიკეს ამხ. ლიტვინოვისა და დელბოსის საუბრის შესახებ „ეხმაურებიან" ჩვეულებრივი გამოლაშქრებით საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთი დახმარების პაქტის წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ანგარიში საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობაზე

ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენება 1937 წლის 15 მაისს *

გაგრძელება

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის მდგომარეობა, რომელსაც ადგილი აქვს მსუბუქი მრეწველობის მშენებლობებზე.

მე შევჩერდები საკავშირო დაქვემდებარების ზოგიერთ დიდ მშენებლობაზე, სადაც გვაქვს სრულიად შეუწყნარებელი მდგომარეობა პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით მშენებლობის უზრუნველყოფის საქმეში.

შეუდგებიან მშენებლობას დამტკიცებული პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების გარეშე, ხარჯავენ ფულს, შემდეგ კი, როდესაც უკვე რაღაცას ააშენებენ, გვიხდება დამტკიცებული პროექტის მიხედვით შევამციროთ, გადავაკეთოთ, ცვლილებები შევიტანოთ,—რაც საგრძნობ გადახარჯვებს იწვევს.

ასეთ მშენებლობათა რიცხვს ეკუთვნის— სატრიკოტაჟო კომბინატის მშენებლობა ქ. თბილისში, რომელიც 1932 წელს დაიწყეს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ყოფილმა სახალხო კომისარმა ბ. მდივანმა და მისმა დამქაშმა დ. მახარაძემ ძალიან დიდი სიმძლავრის საქსოვი ფაბრიკის სახით.

მშენებლობას შეუდგნენ უპროექტოდ და დაუმტკიცებელი ხარჯთაღრიცხვით. მახარაძემ და მდივანმა მშენებლობაში დააბანდეს 4 მილიონ მანეთზე მეტი, რაც მათ მიიღეს უკანონოდ სხვადასხვა კომბინაციით, კერძოდ, ბრუნვის გადასახადების დაფარვით. შემდეგ მოგვიხდა ამ თანხის გადახდა საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატისათვის საქართველოს ბიუჯეტიდან. როგორც კი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოამჟღავნა ეს დანაშაულობანი ფულის მხრივ, მახარაძე მოვხსენით სამუშაოდან, გავრიცხეთ პარტიიდან და მივეცით სამართალში.

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით 1934 წელს ეს მშენებლობა გადაეცა საკავშირო მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს სატრიკოტაჟო კომბინატის ასაშენებლად. საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტრიკოტაჟის მთავარი სამმართველო განაგრძობდა მშენებლობას უპროექტოდ და დაუმტკიცებელი ხარჯთაღრიცხვით და მხოლოდ 1936 წლის დამლევს საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა პროექტები და ხარჯთაღრიცხვები. მაგრამ, ის დეფექტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მშენებლობაში, დამტკიცებულ პროექტში არ იქნა მხედველობაში მიღებული და თავიდან აცილებული (მთავარი კორპუსის არასწორი ორიენტირება სინათლის მხარეებისაკენ, სარდაფის სართულის განათების დეფექტები და სხვ.)

ჯერ კიდევ არ არის ნათლად დადგენილი მშენებლობის დამთავრების ვადა.

ქუთაისის მინის ქარხნის მშენებლობა დაიწყო 1934 წელს. მშენებლობაზე არ არის დამტკიცებული გენერალური გეგმა და გენერალური ხარჯთაღრიცხვა, არ არის ტექნიკური პროექტების ხარჯთაღრიცხვა, მაგრამ, ამავე დროს, მხოლოდ დაპროექტებაზე უკვე დახარჯულია მილიონ მანეთზე მეტი, მაშინ როდესაც მთელი მშენებლობის საერთო ღირებულება უდრის 17,8 მილიონ მანეთს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა როგორც სატრიკოტაჟო კომბინატის, ისე მინის ქარხნის მშენებლობის მდგომარეობის საკითხი და სთხოვა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დაავალოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს სწრაფად გადასწყვიტოს მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები, დაუშვას პროექტები და ხარჯთაღრიცხვები, მოაგვაროს ამ მშენებლობათა მძიმე ფინანსიური მდგომარეობის საკითხი და გამოგზავნოს პასუხისმგებელი ამხანაგები ადგილობრივ ზომების მისაღებად.

○

რამდენიმე სიტყვა საქართველოს სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის შესახებ.

თუ წინათ ტყის ექსპლოატაციის დარგში ჩვენ სრულებითაც არ გვქონდა მექანიზმები, 1936 წელს ხე-ტყის მექანიზებული და რაციონალიზებული გამოზიდვა უკვე შეადგენდა 40 პროცენტს.

მაგრამ ტყის ექსპლოატაციის მექანიზაცია ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, ხოლო არსებულ მექანიზმებს ძალიან ცუდად იყენებენ.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა უნდა მოაგვაროს სატყეო მეურნეობის სწორად გაძღოლა, ტყის კულტურის საქმის განვითარება, ფართოდ მოჰკიდოს ხელი ტყის გაშენებას, განსაკუთრებით ტყის ძვირფასი კულტურების — თეთრი აკაციის, საკორპე მუხის, კაკლის ხის, ევკალიპტის და ა. შ. გაშენებას.

ამ საკითხში სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს რეალური დახმარება უნდა გაუწიონ რაიონულმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, რომლებმაც თავიანთი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მოაქციონ ტყის ძვირფასი კულტურების გაშენება.

ძალიან გაჭიანურდა **ენგურის ქაღალდის კომბინატის** მშენებლობა. კომბინატის მშენებლობა ჯერ კიდევ 1929 წელს დაიწყო უპროექტებოდ და უხარჯთაღრიცხვებოდ. მშენებლობა ჯერ კიდევ 1931-33 წლებში უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ორჯერ მოახდინა მშენებლობის კონსერვაცია, ხოლო მისი ამუშავების ვადას თანდათანობით სწევდნენ. ბოლოს, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო 1936 წლის IV კვარტალში, მაგრამ ეს ვადაც არ იქნა დაცული.

მშენებლობის მთელი დროის განმავლობაში საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა შეადგინა ხუთი პროექტი, დახარჯა რა მათზე დაახლოვებით 3 მილიონი მანეთი. მიუხედავად ამისა, გენერალურ პროექტსა და ხარჯთაღრიცხვაში გამორჩენილია მთელი რიგი ობიექტები.

ენგურის ქაღალდის კომბინატის მშენებლობის ასეთი გაჭიანურება წარმოადგენს როგორც ენგურის ქაღალდის კომბინატის ხელმძღვანელობის — ამხ. ვიქტოროვის ცუდი მუშაობის, ისე საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქაღალდის მრეწველობის მთავარსამმართველოს არასაკმაო ყურადღების შედეგს.

საქართველოს ცენტრალური კომიტეტი და სახკომსაბჭო სისტემატიურად უწევდნენ დახმარებას მშენებლობის საქმეს. ამასწინათ ჩვენ კვლავ შევამოწმეთ მშენებლობის მიმდინარეობა და საკავშირო სახკომსაბჭოს წინაშე დავაყენეთ საკითხი თხოვნით, რათა დაავალოს სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს გამოგზავნოს ადგილზე პასუხისმგებელი წარმომადგენელი ყველა იმ საკითხის გადასაჭრელად, რომლებიც დაკავშირებულია კომბინატის მშენებლობის დამთავრებასთან.

კვების მრეწველობის საერთო პროდუქცია უცვლელ ფასებში 1933 წელს შეადგენდა 103 მილიონ მანეთს, 1936 წელს — 181,6 მილიონ მანეთს.

საკონსერვო პროდუქციის გამოშვება 13,4 მილიონი პირობითი ქილიდან 1933 წელს გაიზარდა 26,8 მილიონ ქილამდე — 1936 წელს. მაგრამ ეს ზრდა მიმდინარეობდა არასრულფასოვან ხარისხთა გამომუშავების ხარჯზე.

საკონსერვო მრეწველობას სათავეში ედგა ამჟამად გამომჟღავნებული ტროცკისტი მათითაიშვილი, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა საკონსერვო მრეწველობას. ამ საქმეში მას ცოტას როდი უწყობდა ხელს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის კონსერვტრესტის მთავარსამმართველოს ყოფილი უფროსი იაგლომი, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში და მათითაიშვილთან ერთად აკეთებდა მავნებლურ საქმეებს. ამჟამად იაგლომი, ისე როგორც მათითაიშვილი, გამომჟღავნებული და დაპატიმრებულია.

კონსერვხილტრესტის და ქუთაისის საკონსერვო ქარხნის ხელმძღვანელობა განახლებული და განმტკიცებულია.

საქართველოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. დეკანოზოვმა საკონსერვო მრეწველობის ხელმძღვანელებთან ერთად უნდა მიიღოს გადამწყვეტი ზომები, რომ უმოკლეს ვადაში იქნას ლიკვიდირებული დანაშაულებრივი მუშაობის; თავაშვებულობის შედეგები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ტრესტისა და საწარმოების სისტემაში.

ჩვენ გვაქვს ყოველგვარი პირობები საკონსერვო მრეწველობის წარმატებითი მუშაობისათვის, ვინაიდან, როგორც ცნობილია, საუკეთესო ნაყოფი, ხილი, კენკრა საქართველოში მოდის.

მეღვინეობის მრეწველობის შესახებ: 1934-დან 1936 წლამდე ჩათვლით სამტრესტმა მოგვცა პროდუქცია 3. 902.361 დეკალიტრი 66.025 ათასი მანეთის ღირებულებით.

ამხანაგ სტალინის ინიციატივით საკავშირო სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს სპეციალური ღონისძიებანი საქართველოში შამპანური ღვინოების წარმოების განვითარებისათვის.

ამჟამად საბჭოების ქვეყნის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა იმდენად გაიზარდა, რომ მათ შეუძლიათ ჰქონდეთ და კიდეც უნდა ჰქონდეთ თავის სუფრაზე საბჭოთა შამპანური.

თუ 1936 წელს საქართველოში გამოშვებული იყო მხოლოდ 20 ათასი ბოთლი შამპანური, 1938 წელს გამოშვებული იქნება 1 მილიონ ბოთლამდე, ხოლო მშენებლობის პროცესში მყოფი ქარხნის საწარმოო გეგმა ითვალისწინებს შამპანურის გამოშვების აყვანას 4 მილიონ ბოთლამდე.

შამპანური ღვინოების წარმოების განვითარების საქმისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ჩვენში მოეწყო შამპანურის სპეციალური კომბინატი. 1937 წლისათვის გაღებულია 5.200 ათასი მანეთი, აქედან 4.200 ათასი მანეთი მოხმარდება შამპანური ქარხნის მშენებლობას თბილისის მახლობლად, ავჭალის რაიონში. ქარხანა აშენდება საფრანგეთში არსებული შამპანური ქარხნების გამოცდილების გათვალისწინებით.

○

თამბაქოს მრეწველობის პროდუქციის გამოშვება 1936 წელს შეადგენდა 5.100 მილიონ ცალ პაპიროსს 27 მილიონი მანეთის ღირებულებისა, ნაცვლად 4.500 მილიონი ცალისა 1933 წელს, რომლის ღირებულებაც 22 მილიონ მანეთს უდრიდა.

ხარისხისა და გაფორმების მხრივ საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ თბილისის ფაბრიკებს, რომლებმაც 1936 წელს გემოს ხარისხის მხრივ პირველი ადგილები დაიკავეს საბჭოთა კავშირში.

თამბაქოს ფაბრიკების საერთო უბედურებას წარმოადგენს ქაღალდის მასალის (სამუშტუკე და საგილზე ბობინების) უქონლობა.

○

მე არ ვჩერდები კვების მრეწველობის დანარჩენ დარგებზე არა იმიტომ, რომ ისინი ყურადღების ღირსნი არ არიან, არამედ იმის გამო, რომ ყველაფერზე ვერ ილაპარაკებ.

საქართველოს კვების მრეწველობის მუშაკებმა თავიანთ წინაშე უნდა დასახონ პრაქტიკული ამოცანა მიაღწიონ მაღალი ხარისხის პროდუქტების გამოშვებას — უმაღლესი ხარისხის ჩაის, კარგად დაყენებული ღვინოებისა, ხილის, ბოსტნეულის, ციტრუსთა კონსერვების და თამბაქოს საუკეთესო ნაწარმის გამოშვებას.

ამისათვის ჩვენ უფრო უკეთ უნდა განვამტკიცოთ კვების მრეწველობის მუშაკთა კადრები, მოვაწყოთ მუშაობა საწარმოებში, შევამციროთ ჯერ კიდევ მაღალი თვითღირებულება, გავაუმჯობესოთ ხარისხი, გავაფართოვოთ ასორტიმენტი, აგრეთვე ყურადღება მივაქციოთ მზა პროდუქციის გაფორმებას და ეტიკეტირების გაუმჯობესებას. ამისათვის ჩვენ ყველა შესაძლებლობა მოგვეპოვება.

○

ამიერკავკასიის რკინიგზას უკანასკნელი მთელი რიგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა როზენცვეიგი, რომელიც ერთ დროს, როდესაც თურქესტან-ციმბირის რკინიგზის უფროსად იყო, გადიბირეს ლივშიცმა და სერებრიაკოვმა, და იქიდან გადმოყვანილ იქნა ამიერკავკასიის რკინიგზაზე.

ეს არამზადა, იმყოფებოდა რა გზის უფროსის პოსტზე, ატარებდა მავნებლურ მუშაობას მარცხთა მოწყობის, მატარებელთა მოძრაობის უშიშროების ღონისძიებათა ჩაშლის, სალიანდაგო მეურნეობის დანგრევის, უმნიშვნელოვანეს ტვირთთა გადაზიდვის სახელმწიფო გეგმის ჩაშლის, ქარხანაში ორთქლმავალთა მავნებლური რემონტის, გზის საფინანსო მეურნეობის დანგრევის და სხვ. ხაზით.

ამ შავ საქმეში როზენცვეიგმა ჩაბა სალიანდაგო დარგის ყოფილი უფროსი, ამჟამად გამომჟღავნებული და დაპატიმრებული დანდუროვი და მოძრაობის დარგის ყოფილი უფროსი ენში. თავიანთი მავნებლური მუშაობა მათ აგრეთვე მიმართეს ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხნისაკენ, სადაც თავის ყველაზე შესაფერ თანამონაწილედ იპოვეს გერმანიის აგენტი — ჯაშუში თოფურიძე.

ამჟამად გზის ხელმძღვანელობა შეცვლილია. გზის და პოლიტგანყოფილების აპარატი განმტკიცებულია.

საჭიროა მომავალშიაც გავატაროთ მეთაურთა შემადგენლობის შემოწმება, ბოლომდე აღმოვფხვრათ როზენცვეიგის კონტრრევოლუციური ნაბოლარები. მაგრამ საჭიროა, რომ ეს მუშაობა ტარდებოდეს გარჩევით, გონივრულად, რომ ხალხის მტრებისაგან აპარატის გაწმენდასთან ერთად ნორმალური მუშაობის ყოველგვარი საჭირო პირობები შევუქმნათ პატიოსან, საბჭოთა ხელისუფლების ერთგულ ადამიანებს.

მავნებლობის შედეგთა სასწრაფო ლიკვიდაციისათვის გზის ხელმძღვანელებმა უნდა შეამოწმონ საავარიო კერების მუშაობა, აღმოფხვრან ადგილზე მათი მუშაობის ნაკლოვანებანი, გადასინჯონ მატარებლების მოძრაობასთან დაკავშირებულ მუშაკთა კადრები, გააუმჯობესონ მოძრავი შემადგენლობისა და ლიანდაგის რემონტის ორგანიზაცია, დანიშნონ მატარებელთა მოძრაობის უშიშროების სპეციალური საგზაო და საუბნო რევიზორები, მოაწყონ მუშაკთა მიღებისა და დათხოვნის განყოფილება.

ამ საქმეს ძალიან მაგრად უნდა მოვკიდოთ ხელი, საჭიროა, რომ ჩვენი პარტიული ტერიტორიული ორგანიზაციები, ჩვენი საქალაქო კომიტეტები — თბილისის, ბათომის, ქუთაისის, ფოთისა და რაიკომები — სამტრედიის, ჯუღელის, ხაშურის, გორის, ლენინის (თბილისი), 26 კომისრის სახელობისა (თბილისი) კიდევ უფრო მეტ დახმარებას უწევდნენ ჩვენს რკინიგზას. საჭიროა, რომ ისინი უყურებდნენ ამ უბანს როგორც თავიანთი მუშაობის ერთერთ ძირითად ობიექტს. საჭიროა მაგრად დავეხმაროთ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებს, მოვეპყრათ მათ ყურადღებითა და მზრუნველობით.

○

საანგარიშო პერიოდში დამთავრებულია მდინარე ყვირილის, ალაზნის, მოქვის, სუფსისა და ლიახვის ხიდების მშენებლობა, აგრეთვე ცხუნკური-დვეთის გზის მშენებლობა.

უახლოეს დროში დამთავრდება შესავლელი გზების მშენებლობა საქართველოს სამხედრო გზაზე, შავი ზღვის გზაზე, ბზიბი-რიცის, ზემოსვანეთის, ფშავ-ხევსურეთის, სურამ-ძირულის, ქვემოსვანეთის, ჯავა-როკის გზებისა და კავთისხევის, იორისა და გუმისტის ხიდების მშენებლობა.

ამ პერიოდში შეიძლებოდა აშენებულიყო გაცილებით უფრო მეტი და უკეთესად, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, გზატკეცილების სამმართველოს 4 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქურდაძე — ამჟამად მხილებული ტროცკისტ-მავნებელი.

საექსპლოატაციოდ გადაცემული ძალიან ბევრი გზა მოკლე ხნის განმავლობაში უვარგისი გახდა და ახლა გვიხდება მათი კაპიტალურად შეკეთება და სავალ მდგომარეობაში მოყვანა, მთელი რიგი სხვა გზები კი თითქმის ხელახლა უნდა აშენდეს.

ადგენდნენ ყალბ თვალისამხვევ ცნობებს არარსებული ადგილობრივი გზების შესახებ, რის შედეგად 1934 წლის 1 იანვრისათვის ითვლებოდა 7.884 კილომეტრი ადგილობრივი გზები მაშინ, როდესაც შემოწმებამ გამოარკვია, რომ 1936 წლის 1 იანვრისათვის სულ არის 6.695 კილომეტრი. გამოდის, რომ ორი წლის შემდეგ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე 1.200 კილომეტრით შემცირდა.

შინსახკომის გზატკეცილების სამმართველომ — ამხ. რაფავამ, რომელიც ამჟამად გზატკეცილების სამმართველოს მეთაურობს, უახლოეს დროში მთლიანად უნდა მოსპოს მავნებლობის შედეგები საგზაო მშენებლობაში, გააუმჯობესოს წარმოებულ საგზაო სამუშაოთა ხარისხი, სათანადო მდგომარეობაში მოიყვანოს საქართველოს ძირითადი მაგისტრალური და საკურორტო გზები, ჯეროვან სიმაღლეზე აიყვანოს საექსპლოატაციო სამსახური უბნებზე და გააიაფოს ახალი გზების მშენებლობა.

○

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომუნალურ - საბინაო და სასასტუმრო მეურნეობაში დაბანდებულია 192 მილიონი მანეთი.

მნიშვნელოვანი გაუმჯობესება გვაქვს მოსახლეობისათვის წყალმიწოდებაში. 1934-36 წლების განმავლობაში აგებულია 12 ახალი წყალსადენი. წელს შენდება 18, მათ შორის ამუშავდება 11 წყალსადენი: ფოთში, სტალინირში, გორში, ხაშურში, მახარაძეში, ადიგენში, ონში, ბოგდანოვკაში, ყვარელში, წნორში, მარტვილში.

შენდება და მომავალ წელს ამუშავდება წყალსადენები ჯუღელსა, ახალციხესა, სარვანსა და სიღნაღში.

სამი წლის განმავლობაში გაყვანილია ახალი წყალსადენების 55 კილომეტრი ქსელი. წელს გაყვანილი იქნება 95 კილომეტრი. აგებულია 20-ზე მეტი დიდი სასოფლო წყალსადენი (წვრილების ჩაუთვლელად). ამრიგად, წყალსადენების მშენებლობის აღებული ტემპი შესაძლებლობას იძლევა უახლოეს სამ-ოთხ წელში ყველა ქალაქი და რაიონული ცენტრები უზრუნველვყოთ წყალსადენებით.

12 რაიონში აგებულია აბანოები, 17 რაიონში შენდება წელს.

1934 წელს მოკირწყლული ქუჩების ფართობი ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში გადიდდა 1 მილიონი კვადრატული მეტრით, მათ შორის, ასფალტირებული ქუჩების ფართობი— 600 ათასი კვადრატული მეტრით.

მთელ რიგ ქალაქებში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ფოთი, სტალინირი) მოწყობილია ავტობუსების მოძრაობა.

1937 წელს ქალაქებსა და რაიონებში შენდება 12 სასტუმრო, მათგან 10 ამუშავდება წელს.

დიდი სამუშაოებია ჩატარებული და ტარდება ქალაქ თბილისის რეკონსტრუქციისათვის. თბილისის კომუნალურ - საბინაო მშენებლობაში 3 წლის განმავლობაში დაბანდებულია 140 მილიონი მანეთი.

მიუხედავად ამისა, თბილისის კომუნალური მეურნეობა ჯერ კიდევ სრულიადაც ვერ გვაკმაყოფილებს. მოსახლეობის მომსახურება ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე, ქალაქის განაპირა უბნები არ არიან კეთილმოწყობილნი.

დიდად განვითარდა კომუნალური მეურნეობა ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, ფოთში, გორში, სტალინირში.

კომუნალური მშენებლობის საქმე რომ კიდევ უფრო სწრაფად წავიწიოთ წინ, საჭიროა თავიდან ავიცილოთ სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც ჩვენი მუშაობის ამ უბანზე გვაქვს.

ძირითადად ეს ნაკლოვანებანი შემდეგია: ვაშენებთ ძვირად და ნელა და შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი ყოველთვის როდია დამაკმაყოფილებელი.

მშენებლობა სწარმოებს ძირითადად დეფიციტური მასალებით, რომელთა შოვნა ძალიან ძნელია. ამიტომ მშენებლობაში უფრო მეტად უნდა გამოვიყენოთ იაფი ადგილობრივი არადეფიციტური მასალები.

სუსტად არის დაყენებული უკვე აგებული ობიექტების მოვლა და მათი ექსპლოატაცია. თავის დროზე არ ტარდება მიმდინარე რემონტი.

საქართველოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატმა და საქალაქო საბჭოებმა საჭიროა უნდა განახორციელონ ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კომუნალური მეურნეობის ოპერატიული და ტექნიკური ხელმძღვანელობა და მოსპონ მასში არსებული ნაკლოვანებანი.

კომუნალური მშენებლობის საკითხებს მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიის საქალაქო კომიტეტებმაც და რაიკომებმაც, რომელნიც აგრეთვე პასუხისმგებელნი არიან ნაკლოვანებებისათვის ამ მუშაობაში.

განუწყვეტლივ იზრდება საქართველოს მშრომელთა კულტურული დონე და მატერიალური კეთილდღეობა. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად იზრდება მოთხოვნები, რომლებიც წარედგინება კომუნალურ მეურნეობას (წყალი, ელექტროენერგია, მასობრივი საქალაქო ტრანსპორტი, კეთილმოწყობა და სხვ.). ჩვენი ამოცანაა — თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, ფოთის, სტალინირის, გორის, აგრეთვე მრეწველობასთან დაკავშირებული ქალაქების (ჭიათურა, ჯუღელი) რეკონსტრუქციასთან ერთად, გავაძლიეროთ მუშაობა, რათა ყველა ჩვენი რაიონული ცენტრი კეთილმოწყობილ იქნეს და გადაიქცეს ნამდვილ კულტურულ ცენტრებად საკოლმეურნეო სოფლისათვის.

სოფლის მეურნეობის საკითხები

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების გამოყენება საქართველოს კოლმეურნეობებში გახდა **გადამწყვეტ პირობად კოლმეურნეობათა შემდგომი ზრდისა და მათი ორგანიზაციულ - სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების საქმეში.**

თუ 1934 წლის 1 იანვრისათვის 3.438 კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო მხოლოდ 175.739 მეურნეობა ანუ 36,3 პროცენტი, 1937 წლის 1 იანვრისათვის კოლექტივიზაციის პროცენტი შეადგენდა უკვე 75,8 პროცენტს — 4.334 კოლმეურნეობაში გაერთიანდა 371.819 მეურნეობა.

საქართველოს კოლმეურნეობანი წარმოადგენენ მარცვლეულის, ჩაის, თამბაქოს, ბამბის, ქარხლის, რამისა და სხვა კულტურების ძირითად მწარმოებლებს.

კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს აქვთ შვიდას ოცდათვრამეტი ათასი ჰექტარი ანუ მთელი სათესი ფართობის 75,4 პროცენტი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობებში განსაზოგადოებული ფონდების ღირებულება. თუ 1934 წლის 1 იანვრისათვის კოლმეურნეობათა განსაზოგადოებული ფონდების ღირებულება 88 მილიონ მანეთს უდრიდა, 1937 წლის 1 იანვრისათვის მან 371 მილიონ მანეთს მიაღწია.

მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალიც: თუ 1933 წელს კოლმეურნეობათა მარტო ფულადი შემოსავალი 79.248 ათას მანეთს შეადგენდა, 1936 წელში კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი გაიზარდა 234 მილიონ მანეთამდე.

მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი კოლმეურნეობებში 1933 წელს შეადგენდა 12 მილიონ ფუთს, 1936 წელს კი მან მიაღწია 26,7 მილიონ ფუთს.

თუ 1933 წელს (1934 წლის 1 იანვრისათვის) გადარიცხვები კოლმეურნეობათა განუყოფელ ფონდში 12.148 ათას მანეთს შეადგენდნენ, 1936 წლის განმავლობაში ისინი შეადგენდნენ 27.680 ათას მანეთს.

კოლმეურნეობათა ზრდასა და განმტკიცებასთან ერთად იზრდება კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალიც. თუ 1934 წელს კოლმეურნეობათა საერთო ფულადი შემოსავლიდან შრომადღეების მიხედვით განაწილებულ იქნა 28 მილიონი მანეთი ანუ 30 პროცენტი, უკვე 1936 წელს განაწილდა 145.800 ათასი მანეთი ანუ 62 პროცენტი. შრომადღის საშუალო ღირებულება 1934 წელს 82 კაპიკიდან გაიზარდა 1 მ. 80 კაპიკამდე 1936 წელში.

სწრაფად და განუხრელად იზრდება კოლმეურნეთა შემოსავლიანობა და შეძლებულობა. თქვენი ყურადღება რომ არ დავტვირთო, დავკმაყოფილდები მხოლოდ რამდენიმე მაგალითის მოყვანით:

მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებმა 1936 წელს კოლმეურნეობიდან და საკარმიდამო მეურნეობიდან მიიღეს შემოსავალი: აქვსენტი **ხომერიკმა** — 40.000 მ., კირილე **ჩხაიძემ** — 34.000 მ., ვლადიმერ **ლომაძემ** — 32.000 მან.

ნატანების ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებმა 1936 წელს მიიღეს შემოსავალი: მოსე **ბოლქვაძემ** — 33.000 მან., **გორგილაძემ** — 32.000 მან., ყარამან **მამინოშვილმა** — 30.000 მან.

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" კოლმეურნემ გრიგოლ **ზირაქიშვილმა** გამოიმუშავა 514 შრომადღე და ფულად მიიღო 2.413 მან. და ნატურით — 790 ფუთი ხორბალი, 235 დეკალიტრი ღვინო და სხვა პროდუქტები, მთლად 15.838 მანეთისა.

გაგრის რაიონის ახალგაგრის კოლმეურნეობის კოლმეურნემ იმასტუნ **როგანიანმა** გამომუშავებულ შრომადღეებში მიიღო 14.449 მან. და, გარდა ამისა, მან მიიღო ნატურით და აგრეთვე ჰქონდა შემოსავალი საკარმიდამო ნაკვეთიდან.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის" კოლმეურნემ გიორგი **ანანიძემ** გამოიმუშავა 541 შრომადღე, ფულად მიიღო 8.364 მ. და ნატურით: 75 ფუთი მარცვლეული და სხვა პროდუქტები.

კიტი **ხასიამ** — ზუგდიდის რაიონის სოფ. ორსანტიის — გეგეჭკორის სახ. კოლმეურნეობის წევრმა, გამოიმუშავა ოჯახთან ერთად 603 შრომადღე, ფულად მიიღო 8.157 მან., 280 ფუთი სიმინდი და აგრეთვე სხვა პროდუქტები.

ედუარდ **ანხშოლცმა** — ბობულალის რაიონის ბერიას სახ. კოლმეურნეობის მეღორემ ოჯახთან ერთად გამოიმუშავა 965 შრომადღე, სულ ფულად მიიღო 4.409 მან. და ნატურით მარცვლეული 190 ფუთი, კარტოფილი — 130 ფუთი, ბოსტნეული 19 ფუთი, ღვინო 2.193 ლიტრა და სხვა პროდუქტები.

დიდ შემოსავალს ნატურით ღებულობენ ჩვენი მეცხოველეობის კოლმეურნეთა წევრებიც:

კონსტანტინე **ლალაზიძემ** — თელავის რაიონის შინსახკომის სახ. კოლმეურნეობის წევრმა, გამოიმუშავა 660 შრომადღე, გარდა ფულისა და მარცვლეულისა, მიიღო ყველი — 31 ფუთი, ხორცი — 50 ფუთი, მატყლი — 7,6 ფუთი. შეიძინა ცხვრები, ცხენი და ააშენა ახალი სახლი.

ანდრია **ბორძიკიძემ** — ამავე კოლმეურნეობის წევრმა, გამოიმუშავა 395 შრომადღე, ფულისა და მარცვლეულის გარდა მიიღო ყველი — 10 ფუთი, მატყლი — 5 ფუთი, ხორცი — 33,6 ფუთი. ააშენა სამოთახიანი ახალი სახლი.

არა მარტო ცალკეული კოლმეურნეები, რომლებიც ჩვენში, საქართველოში ათასობით არიან, ღებულობენ დიდ შემოსავალს და შეძლებული გახდნენ, არამედ ჩვენში არის ასობით მაგალითები კარგად მომუშავე კოლმეურნეობებისა, რომლებიც ღებულობენ დიდ შემოსავალს და რომლებშიც შრომადღის საშუალო ღირებულება ძალიან მაღალია.

აი ძირითადი მაჩვენებლები მთელ რიგ კოლმეურნეობებში:

№№ რ.	კოლმეურნეობათა სახელწოდება	საერთო შემოსავალი 1936 წ.	ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება	შრომადღის ღირებულება
1.	ლუქსემბურგის რაიონის კიროვის სახ. კოლმეურნეობა	6.354 ათ.	4.662 ათ.	9 მან. 60 კაპ.
2.	თბილისის რაიონის მახარაძის სახ. კოლმეურნეობა	3.650 ათ.	3.486 ათ.	11 მან. 30 კაპ.
3.	ალბულალის რაიონის სოფ. ახურეთის ბერიას სახ. კოლმეურნეობა	2.742 ათ.	1.700 ათ.	9 მან. 30 კაპ.

მე მოვიყვანე მსხვილ კოლმეურნეობათა მაგალითები, მაგრამ ჩვენში არიან მოწინავე კოლმეურნეობანი მცირე რაოდენობით, რომელნიც შრომადღის ღირებულების მხრივ სარეკორდო მაჩვენებლებს გვაძლევენ.

№№ რ.	კოლმეურნეობათა სახელწოდება	საერთო შემოსავალი 1936 წ.	ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება	შრომადღის ღირებულება
1.	ჭიათურის რაიონის სოფ. საჩხერის მიქოიანის სახ. კოლმეურნეობა	291 ათ.	84 ათ.	19 მან. 54 კაპ.
2.	გაგრის რაიონის „ზარია ვოსტოკას" სახ. კოლმეურნეობა	328 ათ.	17 ათ.	15 მან. 72 კაპ.
3.	ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრება"	185 ათ.	365 ათ.	14 მან. 95 კაპ.
4.	ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი დროშა"	290 ათ.	46 ათ.	14 მან. 86 კაპ.

კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ასეთი მაღალი შემოსავლიანობა არ წარმოადგენს გამონაკლისს, ჩვენში არის მთელი რაიონები, სადაც კოლმეურნეობათა შემოსავლიანობა და კოლმეურნეთა შეძლებულობა სწრაფად და განუწყვეტლივ იზრდება.

№№ რ.	რაიონების დასახელება	კოლმეურნეობათა შემოსავალი 1934 წ.	კოლმეურნეობათა შემოსავალი 1936 წ.	შრომადღის ღირებულება 1934 წ.	შრომადღის ღირებულება 1936 წ.
1.	ქობულეთის	1.521 ათ.	9.615 ათ.	4 მან. 90 კაპ.	7 მან. 70 კ.
2.	ბათუმის	742 ათ.	3.485 ათ.	2 მან. 30 კაპ.	7 მან. —
3.	მახარაძის	2.056 ათ.	14 მილიონი	1 მან. 04 კაპ.	5 მან. 60 კ.

შეიძლებოდა კიდევ მოგვეყვანა კოლმეურნეობათა შემოსავლიანობისა და კოლმეურნეთა შეძლებულობის ზრდის მრავალი მკაფიო მაგალითი, მაგრამ მოყვანილი მაგალითებიც საკმარისია, რათა ცხადვყოთ, თუ რა სწრაფად მტკიცდებიან ჩვენს თვალწინ კოლმეურნეობები და იზრდება საქართველოს კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სახკომსაბჭომ თავის 1935 წლის 17 აპრილის დადგენილებაში საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლმეურნეობათა მიერ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების შემუშავების, განხილვის და მიღების ღონისძიებათა შესახებ" სწორად ასახეს ცალკეული რაიონებისა და სასოფლო საბჭოების თავისებურებანი რაიონების შიგნით, განსაზღვრეს რა საკარმიდამო ნაკვეთების სიდიდე, პირუტყვის რაოდენობა კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში და სხვა ღონისძიებანი, მიმართულნი კოლმეურნეთა პირადი ინტერესების სწორად შეთავსებისაკენ მათს მუშაობასთან კოლმეურნეობაში.

ჩვენ მიერ შემუშავებული ღონისძიებანი მოიწონა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა.

4.265 სასოფლო-სამეურნეო არტელიდან — 3.230-მა უკვე მიიღო სახელმწიფო აქტები მიწის სამუდამო სარგებლობაზე და მათზე მიმაგრებულია 1.778 ათასი ჰექტარი. დანარჩენ არტელებს, გეგმის თანახმად, სახელმწიფო აქტები მიეცემათ წელს.

სამოცდა სამმა ათასმა საკოლმეურნეო მეურნეობამ უკვე მოახდინა უძროხობის ლიკვიდაცია, ხოლო წელს უძროხობა სავსებით იქნება ლიკვიდირებული.

ძლიერდება პასუხისმგებლობა საკოლმეურნეო ქონების დაცვის საქმეში. კოლმეურნეობებში გაიზარდნენ და იზრდებიან მტკიცე ბოლშევიკური კადრები: თავმჯდომარეები, ბრიგადირები, მეთანგარიშეები და სხვ.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საკოლმეურნეო წარმოებაში ქალის როლი.

გაგრძელება იხ. მე-3 გვ.

---

*) დასაწყისი იხ. გაზ. „კომუნისტი"—21 მაისი, № 114.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ანგარიში საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობაზე

ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენება 1937 წლის 15 მაისს

გაგრძელება

ცენტრალური კომიტეტი სისტემატურად ადევნებდა თვალყურს და ეხმარებოდა რაიონებს სწორად გამოეყენებინათ და განეხორციელებინათ წესდება კოლმეურნეობებში.

ცენტრალურ კომიტეტს მოუხდა მტკიცედ გამოესწორებინა სერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები წესდების განხორციელების საქმეში სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, ყაზბეგის, დუშეთის, ახალქალაქის, თიანეთის, ალბულა-მანგლისის, წალკის, თბილისის, ცხაკაიას და ყვარელის რაიონებში.

ცენტრალური კომიტეტი სპეციალურად მუშაობდა მეცხოველეობის მთიანი რაიონების კოლმეურნეობათა საკითხებზე, დასახა და განახორციელა ღონისძიებანი მათ განსამტკიცებლად.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს თხოვნით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დააწესეს შეღავათები 1937 და 1938 წლებისათვის რძისა და ხორცის ჩაბარების ხაზით ყაზბეგის, ლენინგორისა და ჯავის რაიონების მიმართ. ამ რაიონების კოლმეურნეობებს ლიკვიდირებული საბჭოთა მეურნეობებიდან გადაეცათ 10.000-ზე მეტი სული ცხვარი, გაღებულ იქნა სახსრები კადრების მოსამზადებლად და გადასამზადებლად და სხვა ღონისძიებათა გასატარებლად.

1936 წ. აგვისტოში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განხილულ იქნა საკითხი სასოფლო-სამეურნეო წესდების არსებულ დარღვევათა შესახებ და დაისახა საჭირო ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

მაგრამ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების გამოყენების საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და დარღვევაა.

ჯერ კიდევ ბევრ კოლმეურნეობაში უხეშად არღვევენ შინასაკოლმეურნეო დემოკრატიას—უგულებელჰყოფენ საერთო კრების როლს; არღვევენ არჩევნების პრინციპს; არღვევენ კოლმეურნეობაში მიღებისა და გარიცხვის წესს; კოლმეურნეობის თავმჯდომარე და გამგეობა ანგარიშს არ აბარებენ საერთო კრებას; კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ზოგჯერ კი რაიკომების, რაიაღმასკომებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების ცალკეული მუშაკებიც კი კოლმეურნეობის სახსრებსა და ქონებას განაგებენ საერთო კრების დაუკითხავად და მისი თანხმობის გარეშე.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში ცოტა ფაქტები როდი მოიპოვება, რომლებიც ადასტურებენ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ჩემ მიერ აღნიშნულ დარღვევებს.

ეს დარღვევანი აიხსნება იმით, რომ ჩვენი რაიონული პარტიული ორგანიზაციები, განსაკუთრებით სამიწათმოქმედო ორგანოები და რაიაღმასკომები, ჯერ კიდევ არასაკმაოდ მუშაობენ საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე. ჩვენი სამიწათმოქმედო ორგანოები ყოველდღიურ ოპერატიულ ხელმძღვანელობას არ უწევენ კოლმეურნეობებს.

საჭიროა ყურადღება მიექცეს კოლმეურნეთა საერთო კრების როლის ამაღლებას, გამგეობათა, სარევიზიო კომისიების არჩევნების უთუოდ განხორციელებას, მათ ანგარიშებას საერთო კრების წინაშე და კოლმეურნეთა საერთო კრების გადაქცევას კოლმეურნეობის ნამდვილ ბატონ-პატრონად; უნდა მოისპოს წესდების დარღვევანი კოლმეურნეთა გარიცხვისა და კოლმეურნეთა უკანონოდ და ხელაღებით დაჯარიმების საქმეში; უნდა გაძლიერდეს ბრძოლა საკოლმეურნეო სახსრებისა და ქონების დატაცებისა, გაფლანგვისა და განიავებასთან.

საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლება; შრომის ანაზღაურების აღრიცხვის ორგანიზაციისა და შრომის დისციპლინის სწორად დაყენება, მტკიცე დისციპლინის დამყარება, კოლმეურნეთა აღზრდა საკოლმეურნეო ქონებისადმი ფრთხილი დამოკიდებულების საფუძველზე, კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფო ვალდებულებების დროულად შესრულება და შემოსავლის სწორი განაწილება შრომადღეების მიხედვით.

○

საქართველოს სოფლის მეურნეობის ამაღლებისა და კოლმეურნეობათა განმტკიცების საქმეში ძალიან დიდი როლი შეასრულა **სოფლის მეურნეობის მექანიზაციის** გადიდებამ და გაფართოებამ. თუ 1934 წელს საქართველოში იყო მანქანა - ტრაქტორთა 33 სადგური 799 ტრაქტორით, 12.270 ცხენძალის საერთო სიმძლავრით, 1937 წ. 1 იანვრისათვის უკვე იყო მანქანა-ტრაქტორთა 44 სადგური 1.635 ტრაქტორით, რომელთა სიმძლავრე შეადგენდა 26.835 ცხენძალას.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების და სატრაქტორო პარკის რაოდენობრივმა ზრდამ საშუალება მოგვცა გაგვედიდებინა იმ კოლექტივიზებულ მეურნეობათა რიცხვი, რომელთაც ისინი უწევენ მომსახურებას.

სატრაქტორო პარკის სიმძლავრე განვლილი 3 წლის მანძილზე გაიზარდა ერთიორად და უფრო მეტადაც, ხოლო შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა — ერთიხუთად.

მაგრამ დღემდე მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ყველა შესაძლებლობა სატრაქტორო პარკის ექსპლოატაციის გაუმჯობესების საქმეში ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული.

მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოტანის გადიდებისა, მექანიზაციის ხარისხი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი და სავსებით ვერ უზრუნველჰყოფს გაზრდილ მოთხოვნილებებს.

განსაკუთრებით ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია დასავლეთ საქართველოს რაიონებში.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა მტკიცედ უნდა მოჰკიდონ ხელი სპეციალური და ტექნიკური კულტურების სამუშაოთა მექანიზაციის საკითხებს და ბოლო მოუღონ შეუწყნარებელ ჩამორჩენას ამ საქმეში.

საქართველოს მთიან რაიონებში, სადაც რელიეფის პირობების გამო ტრაქტორს უმნიშვნელო გამოყენება აქვს, უნდა მიექცეს ყურადღება ცხენწევის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მაქსიმალურად შეტანასა და გამოყენებას.

მეორე მხრივ, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციით მოცვის პროცენტის გასადიდებლად საჭიროა დავაყენოთ სატრაქტორო პარკის ნაყოფიერების საგრძნობლად გადიდების ამოცანა, ვინაიდან მიღწეული წარმატებები სრულიადაც ვერ ამოსწურავენ ყველა არსებულ შესაძლებლობას.

პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა მოწინავე ტრაქტორისტთა და კომბაინერთა მაგალითზე უნდა აღზარდონ ტრაქტორისტთა და კომბაინერთა ახალი კადრები, მიაღწიონ უფრო მაღალ მაჩვენებლებს სასოფლო-სამეურნეო მექანიზმების გამოყენების საქმეში.

○

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ხვედრითი წონა და მნიშვნელობა ისეთი ძვირფასი კულტურებისა, როგორიცაა **ჩაი, ციტრუსები, ყურძენი, თამბაქო, ტუნგო, ხეხილის ბაღები, რამი, ეთერ-ზეთოვანი კულტურები, კეთილშობილი დაფნა** და სხვ. უდიდესია და ჩვენს სოფლის მეურნეობას აძლევენ დიდ მნიშვნელობას მთელი საბჭოთა კავშირისათვის.

პარტიის ბელადი ამხანაგი **სტალინი** და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გვიწევდნენ და გვიწევენ უდიდეს დახმარებას ამ ძვირფასი კულტურების განვითარების საქმეში, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის ზრდისა და გაუმჯობესების წყაროს.

ვლაპარაკობთ რა სპეციალური და ტექნიკური კულტურების განვითარების შესახებ, უწინარეს ყოვლისა შევჩერდები ჩაის მეურნეობის მდგომარეობაზე.

○

1937 წლის 1 მაისისათვის გვაქვს 39.941 ჰექტარი **ჩაის პლანტაციები,** მათ შორის საბჭოთა მეურნეობებში — 7.681 ჰექტარი და კოლმეურნეობებში — 32.260 ჰექტარი.

მწვანე ჩაის ფოთლის მოსავლიანობა ერთ სრულმოსავლიან ჰექტარზე ყოველთვის მატულობდა, და შესრულებულია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ 1935 წელს მოსავლიანობა ერთიორად გაზრდილიყო 1932 წელთან შედარებით.

1936 წელს მოსავლიანობამ მიაღწია 1.620 კილოგრამს. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 20 ათასამდე ტონა ჩაის ფოთოლი. საქართველოს კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსათვის ჩაბარებული მწვანე ჩაის ფოთლისათვის მიიღეს 33 მილიონ მანეთზე მეტი.

გაუმჯობესდა მზრუნველობა ჩაის ბუჩქზე, მოვლა ჩაის პლანტაციებისა, და ახლა ჩვენი ჩაის პლანტაციები გაცილებით უფრო უკეთეს და უფრო კულტურულ მდგომარეობაშია.

ჩაის პლანტაციების ფართობების ზრდასთან, მათი მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად სწრაფად იზრდება ჩაის მრეწველობაც.

1937 წელს ჩვენში მოქმედებს 37 ჩაის ფაბრიკა, რომელთა გამტარუნარიანობა შეადგენს 28.860 ტონას.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩაის მრეწველობაში მომზადებულია მრავალი სამკრო ოსტატი, საშუალო და მაღალი კვალიფიკაციის ტექნოლოგები და ჩაის მეჭაშნიკე — ტიტესტერები.

მაგრამ, მიუხედავად ამ წარმატებებისა ჩაის მეურნეობის განვითარების დარგში, ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს მრავალი ნაკლოვანებანი:

დღემდე ჯერ კიდევ ყველგან როდია ლიკვიდირებული ჩაის პლანტაციების მეჩხერობა. ჩვენმა სამიწათმოქმედო ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს დიფერენცირებული გამოყენება აგროტექნიკური ღონისძიებებისა ჩაის ბუჩქების დამუშავების, მოვლისა და წამლობის დარგში; ჯერ კიდევ დაუდევრად ეკიდებიან ქარსაცავი ზოლების გაშენებას; ნელა ინერგება მწკრივთაშორისი დამუშავების მექანიზაცია; ირღვევა ჩაის ფოთლის კრეფის წესი, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ჩაის პლანტაციების მოსავლიანობასა და პროდუქციის ხარისხს.

ჩვენი ჩაი სრულებითაც არ ჩამორჩება უცხოეთის ჩაის, მაგრამ თუ გადამუშავების ტექნოლოგიის დაყენებას გავაუმჯობესებთ, მაშინ ჩვენი ჩაი უფრო უკეთესი იქნება. ამისათვის ტრესტ „საქართველოს ჩაის“, ჩვენს ფაბრიკებსა და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ჩაის საწონ ფაბრიკებს ცოტა მუშაობის გაწევა როდი მოუხდებათ.

უკვე გამორკვეულია, რომ ჩვენი ჩაი ჰკარგავს არომატის დიდ პროცენტს ფაბრიკებში გადამუშავების დროს, აგრეთვე კუპაჟირების დროს. ახლა ტრესტი „საქართველოს ჩაის“ ხელმძღვანელობა სპეციალისტებთან ერთად იმაზე მუშაობს, რათა თავიდან აიცილოს ეს დანაკარგი და მაქსიმალურად შეინარჩუნოს ბუნებრივი არომატი, რომელიც ჩვენს ჩაის აქვს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით 1938-1940 წლების განმავლობაში ჩაის პლანტაციების ფართობი აყვანილ უნდა იქნას 50 ათას ჰექტარამდე, მესამე ხუთწლედის დამლევს კი 55 ათას ჰექტარამდე; მოსავლიანობა სრულმოსავლიანი პლანტაციების ერთ ჰექტარზე უნდა გადიდებულ იქნას 2.500-3.000 კილოგრამამდე.

მიმდინარე წელს უნდა მოიკრიფოს და სახელმწიფოს ჩაბარდეს 24.500 ტონა მწვანე ჩაის ფოთოლი და მოსავლიანობამ სრულმოსავლიანი პლანტაციის 1 ჰექტარზე უნდა შეადგინოს 1.901 კილოგრამი.

○

ციტრუსების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილების შესასრულებლად, რომელიც მიღებულ იქნა ამხანაგ **სტალინის** ინიციატივით, საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა გულდასმით შეისწავლა ცალკეული რაიონების და სოფლების ნიადაგისა და კლიმატური პირობები და შეადგინა ციტრუსების დარგვის ხუთწლიანი გეგმა. ამ გეგმით დარგვა გათვალისწინებულია აგრეთვე წალენჯიხის, გეგეჭკორის, აბაშის, ჩოხატაურის რაიონებში, სადაც ციტრუსოვანი კულტურები დღემდე არ იყო განვითარებული.

საანგარიშო პერიოდში გაშენებულია 3.510 ჰექტარი ახალი ციტრუსების პლანტაციები და ციტრუსების მთელი ფართობი 1937 წლის 10 მაისისათვის აყვანილია 6.153 ჰექტარამდე.

შექმნილია მტკიცე სანერგე ბაზა ციტრუსოვანი ნარგავების შემდგომი განვითარებისათვის, თუ წინათ კოლმეურნეობებში სრულებითაც არ იყო სანერგეები, უკვე ახლა 213 კოლმეურნეობას აქვს სანერგეები 420 ჰექტარის ფართობზე, ხოლო სანერგეების მთელი ფართობი საბჭოთა მეურნეობებთან ერთად 1937 წლის 1 მაისისათვის უკვე შეადგენს 753 ჰექტარს.

1936 და 1937 წლებში ციტრუსების დარგვის დაწესებული გეგმა 1.320 ჰექტარის რაოდენობით გადამეტებით არის შესრულებული, დარგულია 2.355 ჰექტარი.

გამოცემულია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება, რომელიც ციტრუსოვანი რაიონების თვითეულ საკოლმეურნეო და ერთპიროვნულ მეურნეობას ავალებს თავის საკარმიდამო ნაკვეთზე დარგოს 25-40 ციტრუსის ხე. ამ დადგენილებას დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ კოლმეურნენი და ერთპიროვნული მეურნენი.

ციტრუსების გაშენების გამოცდილების გაცნობის მიზნით, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იტალიაში მივლინებულ იქნა ჩვენი საუკეთესო სპეციალისტების ჯგუფი.

ციტრუსოვანი მეურნეობა ჩვენში აღმავლობას განიცდის, მაგრამ იმისათვის, რომ დავამთავროთ ციტრუსოვანი კულტურების განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულება, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი მუშაობა უნდა ჩავატაროთ და, პირველ რიგში ბოლო მოვუღოთ არსებულ ნაკლოვანებებს.

ციტრუსოვანი ხეების მოვლა ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ისინი ნორმალურად იზრდებოდნენ, ნორმალურად ვითარდებოდნენ და უხვმოსავალს იძლეოდნენ. ბოლო უნდა მოვუღოთ მოსავლის პერიოდულობას. ამისათვის საჭიროა, რათა ჩვენი კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები უკეთ დაეუფლონ აგროტექნიკას, უკეთ იყენებდნენ მას და მხედველობაში მიიღონ ცალკეული პლანტაციებისა და თვითეული ციტრუსოვანი ხის თავისებურებანი.

საჭიროა ამ ყრილობაზე ერთხელ კიდევ მოვაგონოთ პარტიულ ორგანიზაციებს, რომ მათ წელს უნდა მოაწყონ ციტრუსოვანი ნაყოფების უხვი მოსავლის მიღება და ამით შეასრულონ ჩვენი დაპირება, რაც პარტიის მე-17 ყრილობაზე მივეცით ამხანაგ სტალინს.

○

გადავდივარ მევენახეობის საკითხზე. საანგარიშო პერიოდში ახალი ვენახი გაშენებულია — 4.569 ჰექტარზე და მთელი ფართობი 1937 წლის 1 მაისისათვის შეადგენს 40.293 ჰექტარს. გადიდებულია ამერიკული ვაზის სადედეთა ფართობიც, რამაც საშუალება მოგვცა აგველო უფრო სწრაფი ტემპები საქართველოს მევენახეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაამუშავა მევენახეობის განვითარებისა და განმტკიცების ღონისძიებანი და დასამტკიცებლად წარუდგინა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ 1936 წლის 28 ივლისს მიიღეს გადაწყვეტილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში მევენახეობისა და ხარისხობრივი მეღვინეობის განვითარების შესახებ“.

ეს გადაწყვეტილება გვავალებს:

1) 1940 წლისათვის ვენახის ფართობი ავიყვანოთ 60.000 ჰექტარამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ 1936-1940 წლებში ჩვენ კოლმეურნეობებში უნდა გავაშენოთ 28.000 ჰექტარი ახალი ვენახი, მივიღებთ რა მხედველობაში, რომ ამ წლების განმავლობაში ძველ ვენახს გამოაკლდება ფილოქსერით დაავადებული 5 ათასი ჰექტარი ვენახი. თუ ახლა საკოლმეურნეო ვენახის ხვედრითი წონა შეადგენს მხოლოდ 16 პროცენტს, 1940 წელს მისი ხვედრითი წონა გაიზრდება 55 პროცენტამდე.

ვენახის ფართობების გადიდება უნდა მიმდინარეობდეს ისეთი ძვირფასი საღვინე და შამპანური ჯიშების დანერგვის ხარჯზე, როგორიცაა: რქა-წითელი, საფერავი, მწვანე, ცოლიკაური, ალექსანდროული, ოჯალეში, ჩხავერი, ციცქა, პინო, ალი-გოტე და სხვ., აგრეთვე სუფრის ჯიშების ყურძნის განვითარების ხარჯზე.

2) ერთიორად უნდა გავადიდოთ ვენახის მოსავლიანობა და 1940 წლისათვის უზრუნველვყოთ მიღება არა ნაკლებ 60 ცენტნერი ყურძნისა ერთ ჰექტარზე.

ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დააწესა ვენახის გაშენების ვადები და გეგმა რაიონებისა და ჯიშების მიხედვით, აგრეთვე ამერიკული ვაზის სადედეთა დარგვისა და სათბურების მშენებლობის გეგმა.

ჩატარდა ყველა ვენახისა და ამერიკული ვაზის სადედის პასპორტიზაცია. დასახულია ღონისძიებანი, რათა სათანადო მდგომარეობაში იქნეს მოყვანილი არსებული ვენახები.

ვენახის საშემოდგომო და საგაზაფხულო გაშენების გეგმები გადამეტებით შესრულდა.

წელს პირველად იქნა შემოტანილი საქართველოში საზღვარგარეთიდან (საფრანგეთი) შამპანური ჯიშების სამყენი მასალა.

მოგველის ძალიან დიდი გულმოდგინე მუშაობა საქართველოს მევენახეობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის.

ჩვენ უნდა შევქმნათ სანიმუშო სანერგე მეურნეობა. თუ ეს საკითხი ჩვენ ძირითადად გადავჭერით ციტრუსოვანი კულტურების დარგში, ეს სრულიადაც არ ითქმის ვენახის შესახებ.

საჭიროა, რომ ჩვენმა რაიონულმა პარტორგანიზაციებმა მოაწყონ ვენახების სანიმუშო მოვლა კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შორის მოწინავე აგროტექნიკის დანერგვის საფუძველზე.

○

ახლა თამბაქოს შესახებ. წლითი-წლობით მატულობს თამბაქოს მოსავლიანობა და იზრდება მისი ფართობები. საბოლოოდ ლიკვიდირებულია თამბაქოს დარგში ის სამარცხვინო მდგომარეობა, რასაც ადგილი ჰქონდა 5—6 წლის წინათ, როდესაც ერთ ჰექტარზე თამბაქოს მოსავალი არ აღემატებოდა 2—3 ცენტნერს.

1936 წელს სახელმწიფოს ჩაბარეს 15.469 ტონა თამბაქო, ღირებული 67.815 ათას მანეთად, იმ დროს, როდესაც 1933 წელს ჩაბარებული იყო 12.131 ტონა, ღირებული 27.985 ათას მანეთად. შესაფერისად გაიზარდა მოსავლიანობა 6,43 ცენტნერიდან 7,9 ცენტნერამდე.

საანგარიშო პერიოდში პირველად იქნა დანერგილი თამბაქოს კულტურა ბორჩალოს და ლუქსემბურგის რაიონებში, სადაც თამბაქოს ყოველგვარი პირობა აქვს თავისი განვითარებისათვის.

დიდი სტიმულის მიმცემი როლი ითამაშა — ჯილდო - წანამატების დაწესებამ გეგმის გადამეტებით ჩაბარებულ პროდუქციისათვის და იმან, რომ კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებმა მიიღეს უფლება თავისუფლად მოახდინონ ზედმეტი თამბაქოს რეალიზაცია მას შემდეგ, რაც ისინი სახელმწიფოს წინაშე შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს.

1936 წელს საქართველოს სს რესპუბლიკა გამარჯვებული გამოვიდა მეთამბაქოობის განვითარების სოციალისტური შეჯიბრებიდან აზოვ-შავი ზღვის მხარესთან.

მაგრამ მთელ რიგ რაიონებში — ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის რაიონებსა და აჭარის ასს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დაბალი ხარისხის თამბაქოს ვღებულობთ. ამ რაიონებში ცუდად სრულდება თამბაქოს გეგმები, თუმცა მოიპოვება ყოველგვარი პირობა, რომ მოგვცენ კარგი ხარისხის თამბაქოს მაღალი მოსავალი.

თამბაქოს მხრივ განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იყო 1936 წელს აფხაზეთი, რომელიც თამბაქოს ძირითად რაიონს წარმოადგენს.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკას 1936 წელს არ შეუსრულებია თამბაქოს გეგმა ხარისხის მხრივ.

1937 წელს საქართველოში თამბაქო დაიჭერს 20.800 ჰექტარს. სახელმწიფო გეგმის მიხედვით თვითეულ ჰექტარზე უნდა მივიღოთ 8,7 ცენტნერი თამბაქო.

ეს გეგმა გადამეტებით უნდა შესრულდეს, თამბაქოს ხარისხი საგრძნობლად უნდა გაუმჯობესდეს, რისთვისაც გვაქვს ყოველგვარი შესაძლებლობა.

○

რამდენიმე სიტყვა ტუნგოს შესახებ. ტუნგოს კულტურას კოლოსალური მნიშვნელობა აქვს. მრეწველობა დიდ მოთხოვნილებებს უყენებს ზეთს, რომელსაც ტუნგოს ნაყოფიდან ვღებულობთ. თუ 1932 წელს ტუნგოს მხოლოდ ცალკეული ხეები გვქონდა და 1934 წლის 1 იანვრისათვის მისი ფართობი 347 ჰექტარს უდრიდა, 1937 წლის 1 მაისისათვის ტუნგოს ფართობი უდრის 9.926,5 ჰექტარს, აქედან საბჭოთა მეურნეობებში — 1.799,5 ჰექტარს, დანარჩენი — კოლმეურნეობებში და კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწებზე.

მარტო 1936 წლის განმავლობაში კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ტუნგოს გაშენების ხაზით მიიღეს 10 მილიონ მანეთამდე გრძელვადიანი სესხი, ხოლო 1937 წელს მიიღებენ 13.200 ათას მანეთს.

თუ წინათ ტუნგოს სანერგეებს ამერიკიდან და იაპონიიდან შემოტანილი თესლით ვაშენებდნენ, ამიერიდან გვექნება ჩვენს ქვეყანაში მოყვანილი თესლი.

საჭიროა ჩვენმა სამიწათმოქმედო ორგანოებმა და რაიონულმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ტუნგოს თვითეული პლანტაციის მოვლას.

○

მე საშუალება არა მაქვს ცოტად თუ ბევრად დაწვრილებით შევჩერდე ისეთ კულტურებზე, როგორიცაა კეთილშობილი დაფნა, რამი, გერანი და ევკალიპტი. დავკმაყოფილდები მხოლოდ რამდენიმე შენიშვნით.

კეთილშობილი დაფნის ფართობი 1940 წლისათვის უნდა ავიყვანოთ 4.000 ჰექტარამდე, ნაცვლად ამჟამად არსებული 1.959 ჰექტარისა, და ამგვარად დავაკმაყოფილოთ მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება დაფნის ფოთოლზე.

რამის ფართობი 1934 წელთან შედარებით 652 ჰექტარით გადიდდა, ხოლო მოსავლიანობა — 6-ჯერ და კიდევ უფრო მეტად.

ამჟამად არსებული 920 ჰექტარი **გერანის** გარდა, 1938 წელს კიდევ გაშენდება 300 ჰექტარი. გერანის მოსავლიანობის ამაღლებისა და ფართობთა შემდგომი გადიდების გზით ჩვენ უახლოეს წლებში ძირითადად უნდა დავაკმაყოფილოთ საპარფიუმერიო მრეწველობის მოთხოვნილება გერანის ზეთზე.

რაც შეეხება **ევკალიპტს,** 1940 წელს მისი რაოდენობა უნდა ავიყვანოთ 10 მილიონ ძირამდე, ნაცვლად ამჟამად არსებული მილიონნახევარი ძირისა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალდარგული ევკალიპტის ხეების მოვლას.

ყველა ამ კულტურას დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეთა კეთილდღეობის ამაღლების საქმეში, ისინი ძალიან საჭიროა ჩვენი მრეწველობისათვის და ამიტომ არიან ჩვენი სერიოზული ყურადღების ღირსნი.

○

მარცვლეულის მეურნეობის შესახებ. სპეციალური და ტექნიკური კულტურების ფართობების გადიდებასთან ერთად განუხრელად იზრდება მარცვლეული კულტურების ფართობიც და მათი მოსავლიანობაც.

ხალხის მტრები — ტროცკისტი და მენშევიკი მახინჯები ავრცელებენ ცილისწამებას, თითქოს ჩვენში, საქართველოში, სპეციალური ტექნიკური კულტურების განვითარებასთან დაკავშირებით, მცირდება მარცვლეული კულტურების ფართობი.

შემდეგი ცხრილი აბათილებს ამ კონტრრევოლუციურ ლაყბობას.

წელი	მარცვლეული კულტურების სათესი ფართობი (ჰექტ.)	საერთო მოსავალი (ფუთობით)	მოსავალი ჰექტარზე ცენტნერობით
1913	697.900	38.180.000	8,97
1920	673.357	35.346.000	8,6
1933	807,502	45.865.000	9,3
1936	835.700	60.866.000	11,93
1937	865.299	65.979.000 (მოსალოდნელი მოსავალი გეგმის მიხედვით).	

როგორც ხედავთ, მარტო მიმდინარე წლის განმავლობაში მარცვლეული კულტურების ფართობი, 1936 წელთან შედარებით, 29,6 ათასი ჰექტარით გადიდდა.

საქართველოს ყოველგვარი შესაძლებლობა აქვს შემდეგშიაც გაადიდოს მარცვლეული კულტურების ფართობები ახალი მიწების ათვისებისა და პურეულის მოსავლიანობის გადიდების ხარჯზე.

მიწსახკომმა უნდა ჩაატაროს ჯიშების რაიონირება, გააუმჯობესოს მუშაობა მეთესლეობის დარგში, შექმნას წმინდა ხარისხისა და გაუმჯობესებული თესლის საკუთარი ბაზა და მოაწყოს ჯიშგანახლების საქმე.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კოლმეურნეობებმა ერთი-ორი წლის განმავლობაში დაიწყონ თესლბრუნვის გამოყენება თავიანთ მარცვლეულის მეურნეობაში.

მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის შემდგომი გადიდების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასუქის გამოყენებას. უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ სასუქის ყველა რესურსი მთლიანად იქნეს გამოყენებული.

ამხანაგმა **სტალინმა** 1935 წლის დეკემბერში ჩვენი ქვეყნის წინაშე ამოცანად დასახა — უახლოესი 3—4 წლის განმავლობაში მივაღწიოთ 7—8 მილიარდი ფუთი პურის წარმოებას საბჭოთა კავშირში. ეს კიდევ უფრო მეტად გვავალებს ჩვენ — საქართველოს ბოლშევიკებს ავიყვანოთ 1940 წლისათვის მარცვლეულის სათესი ფართობები 900 ათას ჰექტარამდე, გავადიდოთ მოსავლიანობა 15 ცენტნერამდე ჰექტარზე და მთელი მარცვლეულის მოსავალი — 80 მილიონ ფუთამდე და საკუთარი პურით ძირითადად დავაკმაყოფილოთ საქართველოს მოთხოვნილებანი.

○

უკანასკნელ დროს ჩვენ მივაღწიეთ იმ უხეში შეცდომების გამოსწორებას, რომლებსაც წინათ ადგილი ჰქონდა მეცხოველეობაში, ხდება აგრეთვე მავნებლობის შედეგების ლიკვიდაცია.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორების და ცხენების მხრივ ჩვენ საგრძნობლად გადავაჭარბეთ ომამდელ დონეს.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი კამეჩებიანად 1937 წლის 1 იანვრისათვის გვყავს 1.760.400 სული, ნაცვლად 1.301.700 სულისა 1913 წელს.

1937 წლის 1 იანვრისათვის ჩვენ გვყავს 164.800 სული ცხენი, იმ დროს, როდესაც 1913 წელს გვყავდა 120.500 სული.

რაც შეეხება ცხვრებსა და თხებს, აქ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ომამდელი სულადობა, მაგრამ მიმდინარე წლის მოსალოდნელი ნამატი, არანაკლებ 850 ათასი სულისა, ბევრად გადაამეტებს ცხვრებისა და თხების სულადობის ომამდელ დონეს საქართველოში. 1937 წლის 1 იანვრისათვის ჩვენ უკვე გვყავს 1.741.500 სული ცხვარი და თხა, იმ დროს, როდესაც 1913 წელს გვყავდა 1.854.400 სული.

მიუხედავად მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის საერთო ზრდისა, მუშა-პირუტყვის ზრდის დინამიკა შემცირებას იძლევა. მუშა-პირუტყვის შემცირების მიზეზია მისი შეუფასებლობა მექანიზაციის (ტრაქტორების) დანერგვასთან დაკავშირებით და იმის დავიწყება, რომ ცოცხალი გამწევი ძალა მექანიკური გამწევი ძალის აუცილებელი დამატებაა.

ერთერთ მიღწევას მეცხოველეობის დარგში უკანასკნელი წლების მანძილზე წარმოადგენს პირუტყვის ხვედრითი წონის ზრდა კოლმეურნეობებში.

მეტიზაცია ფართო მასშტაბით საქართველოში პირველად მხოლოდ 1936 წელს დაიწყო.

1936 წლის განმავლობაში წმინდაბეწვიანი ვაცებით მეტიზებულია 136 ათასი უხეშმატყლიანი ცხვარი, მეტიზებულია 29.808 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, კოლმეურნეობებში მეტიზებულია 15.124 ღორი და 5.990 ცხენი.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ, ცხვრების მეტიზაციის პარალელურად, არასაკმაოდაა უზრუნველყოფილი მოზარდეული მეტისისა და ჯიშიანი ვაცების მოვლის, შენახვისა და კვების გარდაქმნა.

წელს შემოყვანილი იქნება დიდძალი ჯიშიანი პირუტყვი: 3.300 ჯიშიანი მოზვერი, 2.900 ჯიშიანი ვაცი და 1.000 ღორი.

ამ თავითვე უნდა მოვემზადოთ ამ ჯიშიანი ცხოველების სწორი მიღებისა და მათი სანიმუშო შენახვის ორგანიზაციისათვის.

პირუტყვის დაავადება რესპუბლიკის ბევრ რაიონში მეცხოველეობის რისხვას წარმოადგენს. პირუტყვის დაავადების ლიკვიდაციისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

როგორც ცნობილია, მეცხოველეობის ძირითად ბაზას წარმოადგენს საკვები რესურსების გაფართოება და განმტკიცება. უნდა მოწესრიგდეს ბალახების მეთესლეობის საკითხი: საჭიროა, რათა თვითეულმა რაიონმა, თვითეულმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ უზრუნველჰყონ თავი საკუთარი თესლეულით, მოთხოვნილების სრული უზრუნველყოფის ფარგლებში სათესლეების დატოვების გზით.

ჩრდილო-კავკასიის მხარესთან შეჯიბრებაში მეცხოველეობის განვითარებისათვის საქართველო 1935 წელს პირველ ადგილზე გამოვიდა.

საქართველოს ბოლშევიკების წინაშე დგას ამოცანა — 1937 წელს მოახდინონ ყურადღების მობილიზაცია მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის ყველა მაჩვენებლის მხრივ შესრულების და გადაჭარბებით შესრულების ირგვლივ. ამასთან ერთად, 1937 წელი უნდა გახდეს მეცხოველეობაში ხარისხობრივი აღმავლობისა და ზოოვეტერინარული ტექნიკის ფართო დანერგვის წლად.

○

მეაბრეშუმეობის შესახებ. მიღებული ზომებით ხდება მავნებლობის შედეგების ლიკვიდაცია მეაბრეშუმეობაშიც და სწარმოებს მეურნეობის ამ დარგის აღდგენა.

თუ ერთი კოლოფი გრენიდან პარკის საშუალო გამოსავალი 1932 წელს შეადგენდა 13,6 კილოგრამს, ხოლო 1934 წელს — 25,5 კილოგრამს, უკვე 1936 წელს გამოსავალი უდრიდა 38,8 კილოგრამს.

1936 წელს კოლმეურნეებმა და ერთპიროვნულმა მეურნეებმა სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ პარკში მიიღეს 33.681 ათასი მანეთი, მათ შორის პრემია — წანამატის სახით 9.271 ათასი მანეთი.

საჭიროა დაჩქარდეს **თუთის ახალ ნარგავთა გაშენება** საკვები ბაზის გასაფართოებლად საქართველოს ყველა რაიონში და განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში, სადაც მეაბრეშუმეობა კარგად ხეირობს და სადაც მას განვითარების ფართო პერსპექტივები აქვს.

პარკის დამზადების გეგმა 1937 წლისათვის დაწესებულია 3.400 ტონის რაოდენობით, ერთი კოლოფიდან საშუალოდ 43,4 კილოგრამი პარკის მიღების დროს.

ეს გეგმა არათუ მთლიანად, არამედ გადამეტებითაც უნდა შესრულდეს. რაიონებს საამისოდ ყველა შესაძლებლობა აქვთ.

○

საბჭოთა მეურნეობების შესახებ. ამხანაგ **სტალინის** ინიციატივითა და მითითებით 1936 წელს საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-მა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ გამოიტანეს გადაწყვეტილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბჭოთა მეურნეობების ნაწილის, მუშათა მომარაგების განყოფილებების, კოოპერაციის და სხვა ორგანიზაციათა მეურნეობების ლიკვიდაციის, საბჭოთა მეურნეობებიდან და სხვა მეურნეობებიდან ზედმეტი მიწების ჩამოჭრისა და ამის ხარჯზე კოლმეურნეობათა მიწების გადიდების შესახებ“.

ეს ღონისძიება გახდა მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად საქართველოს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისა და მათი მიწათსარგებლობის გაფართოების საქმეში.

ამ დადგენილების შესაბამისად საქართველოში ლიკვიდირებულია 163 საბჭოთა მეურნეობა და მეურნეობა და 72 საბჭოთა მეურნეობას და მეურნეობას ჩამოერთვა მიწები.

საბჭოთა მეურნეობების ლიკვიდაცია, ზედმეტი მიწების ჩამოჭრა და ამის ხარჯზე კოლმეურნეობებისათვის მიწების გადაცემა დამთავრდა დაწესებულ ვადებში.

ამ ღონისძიების გატარების შედეგად, საქართველოს კოლმეურნეობებმა სამუდამო სარგებლობაში მიიღეს 111.737 ჰექტარი მიწა, აგრეთვე ლიკვიდირებული საბჭოთა მეურნეობებიდან კოლმეურნეობებს გრძელვადიანი კრედიტის წესით მიეყიდა 6.960 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 62 ათასი ცხვარი და თხა და 7 ათასი ღორი.

ამჟამად საქართველოში არის 120 საბჭოთა მეურნეობა და კოოპერაციისა და სხვა ორგანიზაციათა მეურნეობანი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია დიდი მუშაობა საბჭოთა მეურნეობების განსამტკიცებლად. ჩვენი საბჭოთა მეურნეობები რომ შევადაროთ იმას, თუ რა მდგომარეობაში იყვნენ ისინი 5-6 წლის წინათ, უეჭველად, კოლოსალური განსხვავება იქნება.

გაგრძელება იხ. მე-4 გვ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ანგარიში საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობაზე

ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენება 1937 წლის 15 მაისს

გაგრძელება

იმის საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს, რომ ჩვენი საბჭოთა მეურნეობანი მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ, წარმოადგენს მათი წარმოების უფროდაუფრო მზარდი მოცულობა.

საქართველოში ცოტა როდია კარგად მომუშავე საბჭოთა მეურნეობა, მაგრამ მოიპოვებიან ისეთი საბჭოთა მეურნეობანიც, სადაც ჯერ კიდევ ბლომადაა მოუწესრიგებლობა.

საჭიროა ერთი-ორი წლის განმავლობაში გადავაქციოთ ყველა ჩვენი საბჭოთა მეურნეობა ნამდვილად სანიმუშო და რენტაბელურ საბჭოთა მეურნეობებად.

ამისათვის საჭიროა ძირითადი ყურადღება მივაპყროთ საბჭოთა მეურნეობების მუშათა მუდმივი კადრის შემდგომ შენარჩუნებას და მათი საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მოვსპოთ ნაკლოვანებანი შრომის ორგანიზაციასა და ანაზღაურებაში, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, უფრო ფართოდ მოვაწყოთ სტახანოვური მოძრაობა, კიდევ უფრო მკვეთრად შევამციროთ ადმინისტრატიულ - სამმართველო და სხვა არასაწარმოო ხარჯები, მოვაწყოთ მაღალი მოსავლის მიღება, მივაღწიოთ თვითღირებულების შემცირებასა და საბჭოთა მეურნეობების მოსავლიანობის გადიდებას.

O

რამდენიმე სიტყვა **სოფლის მეურნეობის კადრების მომზადების** შესახებ.

საანგარიშო პერიოდში უმაღლესმა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებმა გამოუშვეს დაახლოვებით 1.500 კაცი, მათ შორის ათასზე მეტი აგრონომი სხვადასხვა სპეციალობისა და დაახლოვებით ოთხასი ზოოტექნიკოსი და ვეტექიმი. საშუალო სასოფლო-სამეურნეო სპეციალურმა სასწავლებლებმა ამავე ხნის განმავლობაში გამოუშვეს 3.319 კაცი.

ამჟამად საქართველოს სოფლის მეურნეობაში მუშაობს სულ 9.316 სპეციალისტი, მათგან უმაღლესი განათლებით — სამ ათასზე მეტი კაცი.

საქართველოს მიწსახკომი დღემდის ძალიან ცუდად ხელმძღვანელობდა კადრების მომზადების საქმეს, რომელიც მას მინდობილი ჰქონდა მეორეხარისხოვანი მუშაკებისათვის. საჭიროა, რათა თვითონ სახალხო კომისარმა პირადად იმუშაოს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, მასობრივი კვალიფიკაციის სკოლების მუშაობის საკითხებზე, საერთოდ სოფლის მეურნეობისათვის კადრების მომზადების ყველა საკითხზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-მა, როგორც მოგეხსენებათ, განამტკიცა მიწსახკომის აპარატი, ორჯერ გადასინჯა და განამტკიცა სამიწათმოქმედო ორგანოები ადგილებზე, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მუშაობა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რათა როგორც წესი და რიგია განმტკიცდეს ყველა სამიწათმოქმედო ორგანო, განსაკუთრებით რაიმიწგანები და მტს-ები. იქ ჯერ კიდევ ბლომად არიან ადამიანები, რომლებიც იქიდან უნდა მოვიშოროთ და შევცვალოთ უფრო კვალიფიციური, საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგული და თავდადებული მუშაკებით.

O

საყოველთაოდ ცნობილია იმ სამუშაოთა სახალხო - სამეურნეო მნიშვნელობა, რომლებიც ამჟამად ტარდება კოლხიდის დაბლობის ამოსაშრობად. ეს დაბლობი მომავალში უნდა გახდეს უმნიშვნელოვანეს ბაზად ჩვენი ჩაის, ციტრუსებისა და სპეციალური და ტექნიკური კულტურების სხვა პლანტაციების შემდგომი გაფართოვებისათვის.

წინათ მუშაობა კოლხიდის ამოსაშრობად გაფანტულად და ნაწილ-ნაწილ სწარმოებდა, რაც სათანადო ეფექტს არ იძლეოდა. მას შემდეგ, რაც ამხანაგმა **სტალინმა** მიგვითითა ამ დეფექტზე, ჩვენ მუშაობა სხვანაირად წარვმართეთ.

ახლა გვაქვს კოლხიდის ამოშრობის გენერალური გეგმა, განხილული კავშირის მიწსახკომისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ. უახლოეს დროში პროექტი უნდა განიხილოს საკავშირო სახკომსაბჭომ.

პირველი რიგის ყველა სამუშაოს თავი ეყრება ფოთის რაიონში 50 ათას ჰექტარ ფართობზე. პროექტით ეს მასივი ამოშრობილი უნდა იქნას 1940 წლისათვის. ამასთან ერთად კოლხიდაში მიმდინარეობს დიდი მუშაობა მდინარე რიონის გადასაგდებად სხვა კალაპოტში და დიდ საზღვაო ნავსადგურის ასაგებად. ერთიც და მეორეც, ერთად აღებული, ჰქმნიან პირობებს, როდესაც მომავალში ფოთის რაიონი გახდება ჩვენი სუბტროპიკული ზონის ერთერთ საუკეთესო კუთხედ.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდა

ამხანაგებო, ვლაპარაკობთ რა **ვაჭრობასა და კოოპერაციაზე**, უნდა აღვნიშნოთ ის, რომ საცალო საქონელბრუნვა 1.055 მილიონ მანეთიდან 1933 წელს გაიზარდა 2.067 მილიონ მანეთამდე 1936 წელს. პირველად მრავალი წლის განმავლობაში საქონელბრუნვის გეგმა 1936 წელს გადამეტებით შესრულდა. გაიზარდა საქონლის საბაზრო ფონდები. ხარისხობრივად გაუმჯობესდა მომხმარებლის მომსახურება.

სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა რგოლის რეორგანიზაციას, რაც ჩატარდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსი და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1935 წ. 29 სექტემბერს „სოფლად სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის შესახებ“ მიღებულ გადაწყვეტილების განხორციელების საფუძველზე, შედეგად მოჰყვა მნიშვნელოვანი წარმატებები სოფლის მომსახურების საქმეში.

1936 წლიდან საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა რენტაბელური გახდა.

მაგრამ, ვაჭრობის დარგში ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ნაკლი გვაქვს.

უნდა მივაღწიოთ საქონელბრუნვის შემდგომ გაშლას, ასორტიმენტის გაფართოვებას, გასაყიდი საქონლის ხარისხის ამაღლებას, დატაცებისა და გაფლანგვის სრულ ლიკვიდაციას და მომხმარებლის უკეთეს მომსახურებას, ცალკეული რაიონების თავისებურებათა გათვალისწინებით.

უნდა გავაძლიეროთ და განვამტკიცოთ სავაჭრო და კოოპერატიული ორგანიზაციები საქმის მცოდნე, შემოწმებული მუშაკებით, რომლებიც გაუფრთხილდებიან სახელმწიფო და კოოპერატიულ ქონებას.

O

მშრომელთა ფართო მასების კეთილდღეობის განუწყვეტელივ ზრდის საფუძველზე მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა.

1937 წლის იანვრის აღწერის მონაცემებით, მოსახლეობა საქართველოში შეადგენს 3.379,2 ათას კაცს, ნაცვლად 2.666,5 ათასი კაცისა 1926 წ., რაც იძლევა მატებას 712,7 ათასი კაცით.

მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი 1936 წელს გაიზარდა 333 ათას კაცამდე, ნაცვლად 290,7 ათასი კაცისა 1933 წელს. მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის საერთო ფონდი 567,5 მილიონ მანეთიდან 1933 წ. გაიზარდა 986,1 მილიონ მანეთამდე 1936 წელს. საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის ერთი მუშის საშუალო წლიური ხელფასი 1.553 მანეთიდან 1933 წელს გაიზარდა 2.724 მანეთამდე 1936 წელს. ხარჯები მშრომელთა სოციალური დაზღვევისათვის 1936 წელს შეადგენდა 110 მილიონ მანეთს, ნაცვლად 64 მილიონი მანეთისა 1934 წელს.

უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა ჩატარდა მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად, საბინაო-კომუნალური მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის განსავითარებლად. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აგრეთვე მშრომელთა მომარაგება ფართო მოხმარების საქონლით. მთავრობისა და პარტიის მიერ ფართო მოხმარების საქონლის ფასების სისტემატურად დაკლება ხელფასის მომატებასთან ერთად იწვევს მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

პროფესიულ კავშირებს, როგორც მშრომელთა მასობრივ ორგანიზაციებს, ეკისრებათ პასუხსაგები ამოცანა — ყოველდღიურად იზრუნონ მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე.

ჩვენ კიდევ უფრო მეტი შეგვეძლო გაგვეკეთებინა ამ საქმეში, პროფესიული კავშირები რომ უკეთ მუშაობდნენ და უფრო მეტად იყვნენ დაკავშირებული მასებთან, თავის მუშაობაში ეყრდნობოდნენ ფართო პროფკავშირულ აქტივს.

მაგრამ ჩვენი პროფკავშირების მუშაობაში ჯერ კიდევ არის მსხვილი ნაკლოვანებანი და შინასაკავშირო დემოკრატიის უხეში დარღვევანი.

უახლოეს დროში ჩატარდება პროფესიული ორგანოების არჩევნები ფარული (დახურული) კენჭისყრის გზით. საჭიროა, პარტიულმა ორგანიზაციებმა უზრუნველჰყონ ამ არჩევნების ხელმძღვანელობა, ხოლო პროფკავშირული ორგანიზაციები თვითონ გახდნენ უფრო აქტიური და უკეთ მოაწყონ ეს საქმე, რათა პროფესიულ ორგანოებში არჩეულ იქნან ნამდვილად მოწინავე ადამიანები — პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები.

საბჭოთა მშენებლობის საკითხები

საბჭოების მუშაობაშიც გვქონდა საბჭოთა დემოკრატიის დარღვევის, არჩევნობის დარღვევის ბევრი ფაქტი, არ ხდებოდა ანგარიშის სისტემატურად ჩაბარება ამომრჩევლებისათვის. სუსტი იყო სადეპუტატო ჯგუფებისა და სექციების მუშაობის ხელმძღვანელობა, არადამაკმაყოფილებლად სრულდებოდა ამომრჩეველთა განაწესი, საკმაო ყურადღება არ ექცეოდა მშრომელთა საჩივრებსა და მოთხოვნილებებს.

საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაცია სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე მოითხოვს საბჭოების მუშაობის რადიკალურად შეცვლას, მასებთან მათი კავშირის გაძლიერებას, მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას საბჭოების ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში.

მთავრობის გადაწყვეტილება „ფულად გადასახადისა, სადაზღვევო გადასახდელთა და ნატურალურ ჩაბარებათა გამოანგარიშებისა და გადახდევინების მოვალეობათაგან სასოფლო საბჭოების განთავისუფლების შესახებ“ აძლევს მათ შესაძლებლობას შეუდგნენ მათ წინაშე მდგარ ახალ პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ამოცანათა უკეთ შესრულებას საბჭოთა საქართველოს მშრომელთა უფართოესი მასების პოლიტიკური აქტივობის ზრდის პირობებში.

პარტიული ორგანოები და ყველა კომუნისტი სათავეში უნდა ჩაუდგნენ საბჭოთა მუშაობის გარდაქმნის საქმეს, საბჭოების მუშაობა მიუახლოვონ ამომრჩეველთა მასებს, ჩააბან საბჭოების ყოველდღიურ მუშაობაში საბჭოების ყველა წევრი, აამაღლონ კომუნისტ-დეპუტატთა როლი და პასუხისმგებლობა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველჰყონ პარტიის ხელმძღვანელი როლი საბჭოების არჩევნებში და ახალი საარჩევნო სისტემის სრული გატარება ცხოვრებაში.

O

სასამართლო ორგანოებისა და პროკურატურის მუშაობის პრაქტიკაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი სერიოზულ ნაკლოვანებებს: სასამართლოში საქმეების გაჭიანურება, დაგვიანება, პასუხისგებაში მიცემა სრულიად უმნიშვნელო დანაშაულისათვის, მოსახლეობისადმი იურიდიული დახმარების არადამაკმაყოფილებლად დაყენება.

სასამართლოს და პროკურატურის მუშაკთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ მუშაობს თავის თავზე, ჩამორჩენილია თავის იურიდიულ და პოლიტიკურ მომზადებაში.

პარტიულმა ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ სასამართლოს და პროკურატურის მუშაობას, უკვე ახლავე დაიწყონ მზადება სახალხო მოსამართლეთა მომავალი არჩევნებისათვის, წამოაყენონ შემოწმებულ მუშაკთა კანდიდატურები, რომლებიც სარგებლობენ ავტორიტეტით მშრომელთა შორის.

ჯანმრთელობის დაცვა და კურორტები

თუ 1933 წ. **ჯანმრთელობის** დაცვის ხარჯებისათვის გაღებული იყო 42.854 ათასი მანეთი, 1936 წელს — 113.426 ათასი მანეთი, 1937 წელს კი ეს ხარჯები გაიზარდა 164.856 ათას მანეთამდე. მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალდაბანდებაც ჯანმრთელობის დაცვისათვის: 1937 წელს იგი შეადგენს 22.593 ათას მანეთს, ნაცვლად 4.525 ათასი მანეთისა 1933 წელს.

ხარჯები ჯანმრთელობის დაცვისათვის ერთ კაცზე 1934 წელს შეადგენდა 19 მან. 60 კაპ., 1936 წელს კი — 41 მან.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საქალაქო და სასოფლო სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი: თუ 1934 წ. 1 იანვრისათვის იყო 122 საავადმყოფო 6.435 საწოლით, 1937 წ. 1 იანვრისათვის გვაქვს 164 საავადმყოფო 7.836 საწოლით.

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ძალზე შემცირდა ავადმყოფობა.

სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ 1936 წ. 27 ივნისს აბორტის აკრძალვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად მნიშვნელოვნად გაფართოვდა სამშობიარო სახლებისა და საბავშვო ბაგების ქსელი.

1937 წლის გეგმა ითვალისწინებს 1.414 სამშობიარო და 12.385 საბავშვო საწოლის მშენებლობას.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარმა ამხ. მამალაძემ და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა ადგილებზე უნდა აამაღლონ სამედიცინო დახმარების ხარისხი, გააუმჯობესონ მოწყობილობა, ჩაატარონ სამკურნალო-პროფილაქტიური დაწესებულებებისა და აფთიაქების საჭირო რემონტი, მიაღწიონ კიდევ უფრო მეტ მზრუნველობასა და ყურადღებას ავადმყოფებისადმი, შეასრულონ ვადაზე სამშობიარო სახლებისა და საბავშვო ბაგების მშენებლობის გეგმები, გააუმჯობესონ დედობისა და ბავშვების დაცვის მთელი საქმე.

O

საქართველოს საკურორტო მშენებლობაში საანგარიშო პერიოდის მანძილზე დაბანდებულია 124 მილიონ მანეთზე მეტი, როგორც მთავარი საკურორტო სამმართველოს ხაზით, ისე სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების ხაზითაც.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საკავშირო მნიშვნელობის მქონე კურორტებს: წყალტუბოს, ბორჯომს, აბასთუმანს, შავი ზღვის სანაპირო კურორტებს.

ახალი მშენებლობისა და ძველი სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების რეკონსტრუქციის შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა საქართველოს კურორტების გამტარუნარიანობა. ასე, 1933 წელს საქართველოს კურორტებზე (უწყებებთან ერთად) სულ იყო 7.540 საწოლი 59 ათასზე მეტი კაცის წლიური გამტარუნარიანობით. 1936 წელს უკვე იყო დაახლოვებით 11 ათასი საწოლი, გატარებულ ავადმყოფთა რაოდენობამ კი მიაღწია 100 ათასზე მეტს.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიაქცია აგრეთვე ყურადღება ახალი საკურორტო წერტილების გამოვლინებას საქართველოში: მენჯი, საირმე, სკური, რიცა და სხვ.

ამჟამად თბილისში მთავრდება ახალი საააბაზანო შენობის აგება, რომელიც დღეში გაატარებს 2.000-მდე კაცს.

მუშაობის გასაუმჯობესებლად ჩვენს კურორტებზე გაიგზავნენ ხელმძღვანელი კადრები როგორც ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხაზით, ისე სამკურნალო ხაზითაც.

შემდეგშიაც უნდა განვამტკიცოთ ჩვენი კურორტები არა მარტო ექიმებით, არამედ უნდა მივაღწიოთ მათ უზრუნველყოფას კვალიფიციური საშუალო და უმცროსი მომსახურე პერსონალით. უნდა მივაღწიოთ განრიგების გაუმჯობესებას ჩვენს კურორტებზე.

ჩვენი კურორტების დიდი ნაკლოვანებანი ის არის, რომ ჩვენ მათ ვაშენებთ ძალიან ძვირად, ძალიან ნელა და არა ყოველთვის მაღალხარისხოვნად. საჭიროა, რათა ჩვენმა მშენებელმა ორგანიზაციებმა — კურორტმშენმა, საქართველოს ჯანმრთელობის კომისარიატმა და მისმა საკურორტო სამმართველომ, კურორტების დირექტორებმა უშუალოდ მოჰკიდონ ხელი საკურორტო მშენებლობის საკითხებს და უფრო ეფექტურად გამოიყენონ ის დიდი თანხები, რომლებსაც ვაბანდებთ საქართველოს კურორტებში.

კიდევ ერთი საკითხი — ბორჯომის მინერალური წყლების კომბინატის გაფართოვების შესახებ.

როგორც თქვენ იცით, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იქნა დაწყებული ბორჯომის წყლის ჩამოსხმის ყველა პროცესის კაპიტალური რეკონსტრუქცია თანამედროვე ტექნიკის საფუძველზე. 1937 წელს უკვე გამოშვებული იქნება დაახლოვებით 17 მილიონი ბოთლი წყალი.

ჯანმრთელობის საკავშირო სახალხო კომისარიატი — ამხ. გ. კამინსკი დაინტერესებულია ბორჯომის კომბინატის გაფართოებაში. ამჟამად ამთავრებენ ბორჯომის წყლების კომბინატის სრული რეკონსტრუქციის გენერალური პროექტის შედგენას; კომბინატის წლიური პროდუქცია აყვანილი იქნება 40 მილიონ ბოთლამდე.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხეში მშრომელებს შეეძლოთ იშოვონ ბორჯომის წყალი, როგორც ძვირფასი სამკურნალო და სასმელი წყალი.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ჩვენი კურორტები გახდნენ ჯანმრთელობის ნამდვილ კერად საბჭოთა კავშირის მშრომელებისათვის.

სასკოლო მუშაობა

სახალხო განათლების ბიუჯეტი საგრძნობლად გაიზარდა. მხოლოდ საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის სისტემის ხაზით ასიგნობათა ზრდა გვაძლევს შემდეგ სურათს:

წელი	ასიგნობანი	პროცენტი საერთო ბიუჯეტის მიმართ
1933 წ.	79,3 მილ. მან.	26,4%
1936 წ.	242,8 მილ. მან.	35,2%
1937 წ.	324,5 მილ. მან.	37,6%

ამჟამად საქართველოში ითვლება 4.215 დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლა 674.142 მოწაფის საერთო კონტინგენტით.

განათლების სახალხო კომისარიატის, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და სხვა უწყებათა უმაღლესი სასწავლებელი ოცია. ამ სასწავლებლებში სწავლობს 21.584 სტუდენტი; საანგარიშო პერიოდში უმაღლესი სასწავლებლებიდან გამოშვებულია 6.430 კაცი, 1937 წელს გამოშვებული იქნება დაახლოვებით 4.000 კაცი.

გარდა ამისა, განათლების სახალხო კომისარიატის, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და სხვა უწყებათა 113 ტექნიკუმში სწავლობს 21.752 კაცი.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სასკოლო მშენებლობას ქალაქებში.

თბილისში 1935-36 წლების მანძილზე აგებულია 19 სასკოლო შენობა 12.870 მოწაფისათვის. ამავე წელს თბილისში დაწყებულია და ახალი სასწავლო წლისათვის დამთავრდება მშენებლობა 5 სასკოლო შენობისა 4.400 მოწაფისათვის.

1936 წელს ქუთაისსა, ბათუმსა, სოხუმსა, სტალინირსა, ოჩამჩირესა, ჯუღელსა, ინგურქალაქმშენსა და მოლიბდენმშენში აშენებულია 10 ახალი სასკოლო შენობა 3.880 ადგილით.

მიმდინარე წელსავე ქუთაისსა, გორსა, სტალინირსა, ფოთსა, ბათუმსა, სოხუმსა და გალში დაწყებულია და სასწავლო წლის დაწყებისათვის დამთავრდება მშენებლობა 7 ახალი სასკოლო შენობისა 2.780 ადგილით. 1934-36 წლების განმავლობაში საქართველოში სულ აშენებულია 262 ახალი სკოლა.

გარდა ამისა, პედაგოგიური სასწავლებლებისათვის აგებულია 5 შენობა ბორჩალოს, ახალციხის, ზემო-სვანეთის, გურჯაანისა და ამბროლაურის რაიონებში. მიმდინარე წელს შენდება და დამთავრდება 6 ახალი შენობა პედაგოგიური სასწავლებლებისათვის ონის, გეგეჭკორის, თიანეთის, წულუკიძის, საგარეჯოს რაიონებში და თურქული პედაგოგიური სკოლისათვის ქ. თბილისში.

წელს მთავრდება შენობის აგება გორის სამასწავლებლო ინსტიტუტისა და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტისათვის, დაწყებულია შენობის აგება ბათუმისა და სტალინირის სამასწავლებლო ინსტიტუტებისათვის და სხვ.

შენდება აგრეთვე შენობები უმაღლესი სასწავლებლებისათვის. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკურ-ქიმიური კორპუსი, რომელიც ახლა შენდება, თავისი მოცულობით უდრის უნივერსიტეტის ძველ შენობას. მშენებლობის დამთავრების ვადა არის 1938 წელი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებით 1936 წელს მნიშვნელოვნად მოემატა ხელფასი მასწავლებლებსა და სკოლის სხვა მუშაკებს. ამან გამოიწვია პედაგოგიური კადრების შემადგენლობის გაუმჯობესება და განმტკიცება, სასკოლო მუშაკთა ხელმძღვანელი შემადგენლობის სტაბილიზაცია, მასწავლებლების განტვირთვა მეტისმეტი შეთავსებისა და სხვა დამატებითი სამუშაოებისაგან.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით სწავლების დაყენება და ხარისხი საგრძნობი რაოდენობის საშუალო სკოლებში ისეთია, რომ სწავლადამთავრებულებს არ აძლევს ცოდნის საკმაო მოცულობას უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. არის ისეთი ფაქტები, როდესაც ფრიადოსნებიც კი, რომლებიც საშუალო სკოლას ამთავრებენ და უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში შედიან უგამოცდოდ, სავსებით მომზადებულნი როდი არიან.

ეს ცხადჰყოფს სასწავლო მუშაობის სუსტად დაყენებას მთელ რიგ ჩვენს საშუალო სასწავლებლებში.

საჭიროა, რათა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი, ავტონომიურ რესპუბლიკათა და ოლქის განათლების სახალხო კომისარიატები, აგრეთვე სახალხო განათლების რაიონულ განყოფილებათა გამგეები სკოლების დირექტორებთან ერთად სისტემატურად ამოწმებდნენ სასწავლო მუშაობის დაყენებას სკოლებში, ებრძოდნენ მასწავლებელთა ლიბერალურ დამოკიდებულებას მოწაფეთა ცოდნის შეფასებისადმი.

თავის მხრივ მასწავლებელნი უნდა მუშაობდნენ თავის თავზე, და ავსებდნენ თავის საკუთარ ცოდნას.

სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ აგრეთვე ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს.

უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალი სუსტად მუშაობს თავისი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. პროფესორებსა და დოცენტებს შორის ჯერ კიდევ ფრიად მცირეა მეცნიერების დოქტორის ან კანდიდატის სამეცნიერო ხარისხისათვის დისერტაციის დამცველთა პროცენტი. მაგალითად, სახელმწიფო უნივერსიტეტში 345 პროფესორსა, დოცენტსა და მასწავლებელს შორის სამეცნიერო ხარისხი აქვს მხოლოდ 80 კაცს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში კი 156 პროფესორსა, დოცენტსა და მასწავლებელს შორის სამეცნიერო ხარისხი აქვს მხოლოდ 7 კაცს.

ფართო გასავალი აქვს შეთავსებლობას, რის გამო პროფესორები და დოცენტები ვერ ასწრებენ ლექციებისათვის მომზადებას და ამიტომ ლექციების დონე ყოველთვის არ არის მაღალი.

საჭიროა, რათა განსახკომმა, მიწსახკომმა, ჯანსახკომმა და სხვა უწყებებმა ჯეროვნად მოჰკიდონ ხელი როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-ლექტორთა და პედაგოგთა პერსონალის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საკითხს.

თვითეული მასწავლებელი, რომელიც ახლა გარემოსილია სტალინური ზრუნვითა და ყურადღებით, ხომ უნდა იყოს მოსწავლე ახალგაზრდობის არა მარტო კარგი აღმზრდელი, არამედ კარგი აგიტატორიც, პროპაგანდისტიც, რომელსაც უნდა შესწევდეს უნარი განუმარტოს მშრომელებს პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა

II. საქართველოს ლიტერატურა და ხელოვნება

ამხანაგებო! ნებას მივცემ ჩემს თავს ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდე ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში შექმნა ყველა საჭირო წანამძღვარი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მძაფრი ზრდისა და აყვავებისათვის.

პარტიამ უდიდესი მუშაობა ჩაატარა **ჩვენი კლასიკოსების** ფრიად მდიდარი ლიტერატურული **მემკვიდრეობის** ასათვისებლად.

წარსულის ყველა კულტურული ღირებულება, რაც წინათ გადამალული იყო, ახლა გამოყენებულია საბჭოების ქვეყნის მშრომელთა სამსახურისათვის.

ამ პერიოდში აღინიშნა ე. ნინოშვილის, ა. წერეთლის, ვაჟა ფშაველას საიუბილეო თარიღები.

წელს აღინიშნება უდიდესი ქართველი კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავის ღირსშესანიშნავი თარიღი.

საბჭოთა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი მოვლენაა ქართული პოეზიის გენიოსის შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სისტემაში შეიქმნა რუსთველოლოგიის სალიტერატურო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. დიდი მუშაობაა ჩატარებული რუსთაველის გენიალური პოემის — „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტის დასადგენად და საიუბილეო აკადემიური გამოცემის მოსამზადებლად.

ამ ხნის განმავლობაში შესრულებულია პოემის მთელი რიგი ახალი თარგმანები სხვა ენებზე — რუსულზე, უკრაინულზე, მზადდება თარგმანები სომხურ, აზერბეიჯანულ და სხვა ენებზე.

რუსთაველის იუბილესათვის საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა ემზადება, ცხადჰყოფს რა ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხთა ინტერნაციონალურ მეგობრობას.

O

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე **ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ** ერთერთი პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის მოწინავე მოძმე ლიტერატურათა რიგში.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, როგორც მოგეხსენებათ, განსაკუთრებული როლი ითამაშა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წ. 23 აპრილის დადგენილებამ ლიტერატურულ-მხატვრულ ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ, მიღებულმა ამხანაგ **სტალინის** ინიციატივით.

საქართველოს ლიტერატურულ ორგანიზაციებში წინათ ბატონობდა ჯგუფობრიობა, რომელიც ხრწნიდა მწერალთა კადრებს და აფერხებდა ქართული ლიტერატურის განვითარებას. ამ საქმეში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ეგრეთწოდებული საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომელიც წარმოადგენდა „რაპპის“ ფილიალს და რომელსაც მეთაურობდნენ ბ. ბუაჩიძე, შ. რადიანი და სხვ.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობა მწერალთა წრეში აღვივებდა ჯგუფობრივ შუღლს, ყველა ურჩსა და სხვანაირად მოაზროვნეს მიერეკებოდა საბჭოთა ხელისუფლების მტრების ბანაკისაკენ.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციასთან ერთად ქართველ მწერალთა წრეში წინათ არსებობდნენ კარჩაკეტილი, განკერძოებული ჯგუფები: „ცისფერი ყანწები“, „აკადემიური“ ჯგუფი „ლეფელები“, „არიფიონი“ და სხვ.

„ცისფერი ყანწების“ ჯგუფში შედიოდნენ: პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ნ. მიწიშვილი, გ. ლეონიძე და სხვ.

ეს ჯგუფი ჯერ კიდევ 1916 წელს შეიქმნა. სახელწოდება „ცისფერი ყანწები“ გადატანითი აზრით უნდა ყოფილიყო შემოქმედებითი შეზარხოშების, შემოქმედებითი სიმთვრალის ნიშანი, მაგრამ ცხოვრებაში ეს დევიზი არაიშვიათად გამოიხატებოდა ლოთობასა და ქეიფში **(სიცილი დარბაზში)**.

„ცისფერყანწელთა“ შემოქმედება ქართულ ლიტერატურაში წარმოადგენდა დასავლეთ-ევროპისა და რუსული ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურის დაგვიანებულ გამოძახილს.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა შედეგად, „ცისფერყანწელთა“ წინააღმდეგ ჩატარებული მწვავე იდეური ბრძოლის შედეგად, ჯგუფი დაიშალა.

თუ პირველ პერიოდში საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის აპრილის დადგენილების შემდეგ „ცისფერი ყანწების“ ყოფილი ჯგუფის მთელი რიგი პოეტების შემოქმედებაში უიდეო ლირიკის მოტივები სჭარბობდნენ და მათ თავი ვერ დააღწიეს საკუთარ ვიწრო ლიტერატურულ სფეროს, სამაგიეროდ უკანასკნელ წლებში მათი შემოქმედებითი საქმიანობის გაშლა ხდებოდა უკვე სოციალისტური მშენებლობის თემათა დამუშავების მიმართულებით.

„აკადემიური“ ჯგუფი წარმოადგენდა უკიდურეს მემარჯვენე ფრთას ქართულ ლიტერატურაში. იგი წარმოიშვა 1922-23 წლებში და აერთიანებდა მწერლებს კ. გამსახურდიას, ა. აბაშელს, გ. ქიქოძეს, პ. ინგოროყვას და სხვებს.

ჟურნალ „კავკასიონში“, რომელსაც ეს ჯგუფი 1924 წელში სცემდა, № 1-ში ჯგუფმა შემდეგნაირად გამოსცა თავისი პლატფორმა:

„ერთადერთი საზომი, რომლითაც იხელმძღვანელებს ამ შემთხვევაში კავკასიონი, ეს არის იდეები იმ მარადი ხელოვნებისა, რომელიც მაღლა სდგას წარმავალ ლიტერატურულ მოდაზე“.

ჟურნალი, ბუნებრივია, მიმზიდველ ცენტრად გადაიქცა ინტელიგენციის ანტისაბჭოურად — შოვინისტურად განწყობილი ნაწილისათვის.

მაგრამ ეს, ეგრეთწოდებული, „აკადემიური“ ჯგუფიც დაიშალა სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა და ჩვენი სოციალისტური კულტურის ზრდის შედეგად.

ამ ჯგუფის ერთერთი წარმომადგენელი ა. აბაშელი იჩენს აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ მუშაობაში. მან საბჭოთა თემებზე დასწერა მთელი რიგი ლექსები, რომლებიც ურიგონი როდი არიან.

ამ ჯგუფის მეორე წარმომადგენელი კ. გამსახურდია, რომლის სოფლმხედველობა განისაზღვრებოდა აშკარად გამოხატული ფაშისტური ელფერის მებრძოლი ნაციონალიზმით, თავის უკანასკნელ ნაწარმოებში „მთვარის მოტაცებაში“ შეეცადა ჩამოშორებოდა ამ თავის ძველ იდეურ პოზიციებს და მოეცა დიდი მხატვრული ტილო ჩვენი სოციალისტური სინამდვილის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით ეს მან ძალიან სუსტად შესძლო.

ამხ. ლ. ბერიას მოხსენების
დასასრული — შემდეგ ნომერში

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ა. იაკობაშვილი

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეო — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ/მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 3 —8587